ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასწავლებელთა განათლება

ანა კაკულია

მულტიმედია საშუალებების მნიშვნელობა სოციო - კულტურული ტექსტების შესწავლისათვის ინგლისური ენის გაკვეთილზე

(საბაზო საფეხურის მე-9 კლასი)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასწავლებელის განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ინა ბარათაშვილი

განათლების მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ-ს მოწვეული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევას მულტიმედია საშუალების სოციო კულტურული ტექსტების შესწავლის მიზნით გამოყენების შესახებ ინგლისური ენის გაკვეთილზე. იგი ეფუძნება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, მიმართულებაზე ,,მასწავლებელთა განათლება'' სწავლისას გავლილ კურსს ,,მულტიმედია საშუალებები სწავლა სწავლების პროცესში".

თემის **აქტუალობა** გამომდინარეობს შემდეგი დებულებებიდან:

1. **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.** ერთ-ერთ ეროვნულ მიზანს წარმოადგენს მოსწავლის ტოლერანტულ მოქალაქედ აღზრდა, რომელსაც განვითარებული აქვს ურთიერთპატივისცემის უნარ-ჩვევა და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში ჰარმონიული თანაცხოვრება შეუძლია.

2. **საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.** ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზნია, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მიზნის მისაღწევი პირობები.(მუხლი 3) .

3. **საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა.** მის მიზნებს, ზემოთხსენებული დებულებებიდან გამომდინარე, წარმოადგენს: 1.მოსწავლეებს განუვითარდეთ განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარი. 2. ჩამოუყალიბდეთ კულტურული მრავალფეროვნების მიმართ დადებითი განწყობილება.

კვლევის **მიზანს** წარმოადგენს, მულტიმედია საშუალებების მნიშვნელობის განსაზღვრა, სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის პროცესში.

კვლევის სიახლე: ჩემ მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით მსგავსი კვლევა არ განხორციელებულა.

კვლევის ამოცანებად დაისახა:

1.ლიტერატურის/დოკუმენტაციის ანალიზი;

2.კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;

3. კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება;

4. ემპირიული კვლევის ჩატარება;

5. დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება

კვლევის ობიექტს წარმოადგენს მულტიმედიის გამოყენების პროცესი,რომელიც განხორციელდება საბაზო საფეხურის მე-9 კლასში.

კვლევის საგანია მულტიმედია საშუალებების მნიშვნელობის განსაზღვრა სოციო კულტურული ტექსტების სწავლების პროცესში, ინგლისური ენის გაკვეთილზე.

Annotation

The efficiency of applying Multimedia Tools while teaching Socio-Cultural texs at the English lesson

(At basic school)

(9-grade)

Ana kakulia

This paper presents a research on the efficiency of applying multimedia tools for educational purposes, specifically while teaching socio-cultural texs.It is based on the course - ,,Multimedia Tools in the Process of Learning and Teaching", taught at the faculty of Psychology and Educational Sciences,Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The **topicality of the thesis** follows from the following provision:

1.National purposes of general education. One of the purposes is developing a pupil into a tolerant citizen, who has a skill of mutual respect and is able to live in harmony in culturally diverse world.

2.Law of Georgia about general education. In the sphere of general education one of the aims of the state policy is developing pupil's respect for cultural values and the state is responsible for providing conditions for achieving this aim.

3.National curriculum of Georgia. Its aim according to the above mentioned provision is: 1.to develop in pupils skill for comprehension of different cultural contexts and texts; 2. to develop positive attitude towards cultural diversity. **The purpose of the research** is to define the importance of using multimedia tools in the process of teaching/learning sociocultural texts.

The novelty of the research ensues from the fact that according to my investigation of the related materials and researches, similar research does not exist.

Objectives of the research are:

a) Processing secondary information;

b) Defining research methodology;

c)Developing research instruments;

d) Conducting emphirical research:

e)Generating recommendations based on relevant conclusions;

The object of this research is the process of using multimedia tools implemented in the 9th year class at a secondary school level.

The subject of the research is to define the importance of using the multimedia tools in the process of teaching the socio-cultural texts at the English lesson.

შინაარსი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 8

თავი I 14

1.ინგლისური ენის საერთაშორისო მნიშვნელობა და მისი სწავლების როლი საქართველოში ... 14

1.1.1 ასაკობრივი პერიოდიზაციის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში 17

1.1.2 ინდივიდუალური თავისებურებების მნიშვნელობა სწავლა სწავლების დროს 18

თავი II 21

სოციო - კულტურული ტექსტების სწავლების მნიშვნელობა 21

2.1.სოციო-კულტურული ტექსტები და კულტურის სემიოტიკური გაგება. 22

2.1.1.მატერიალური განზომილება 23

2.1.2.მენტალური და სოციალური განზომილება 23

2.2.სოციო -კულტურული ტექსტების სწავლების ისტორია 24

2.3.საქართველოში არსებული მდგომარეობა სოციო -კულტურული ტექსტების სწავლების თვალსაზრისით 25

2.4. სოციო - კულტურული ტექსტების სწავლების მდგომარეობა საზღვარგარეთ 29

თავი III 31

3.მულტიმედია საშუალებების როლი საგანმანათლებლო სისტემაში 31

3.1. თვალსაჩინოების როლი სწავლების პროცესში 32

3.1.1.დემონსტრირების მეთოდი 34

3. 2. ვიდეო ჩვენების გამოყენებისა და მნიშვნელობის განსაზღვრა საგანმანათლებლო მიზნით 37

3.2.1.ვიდეოჩვენების უარყოფითი მხარეები 40

3.2.2.ვიდეოჩვენების დადებითი მხარეები 41

3.3.ვიდეო ჩვენების საგანმანათლებლო სისტემაში გამოყენების ისტორია 45

3.4.საქართველოში არსებული მდგომარეობა ვიდეოს საგანმანათლებლო 46

სისტემაში გამოყენების თვალსაზრისით 46

3.5.მულტიმედია საშუალებების საგანმანათლებლო მიზნით გამოყენების გამოცდილება საზღვარგარეთ 47

3.6.ინტერაქტიული ვიდეოს რაობა და მისი მნიშვნელობა სასწავლო პროცესში 48

3.7.Quizizz.com-ის რაობა და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში 50

3.8.Prezi.com-ის რაობა და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.....51
კვლევითი ნაწილი.....53
დასკვნები.....76
რეკომენდაციები.....78
ლიტერატურა.....79

შესავალი

უცხოური ენის შესწავლას უდიდესი როლი ენიჭება კაცობრიობის განვითარების საქმეში. მისი ათვისების საკითხი სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ენის უპირატესობითა და მისი შესწავლის განსხვავებული ხერხებით შემოიფარგლებოდა. ინგლისური ენის მსოფლიოში გავრცელება უკავშირდება, დიდი ბრიტანეთის მიერ კოლონიზაციის დაწყებას. საერთაშორისო ენის ტიტულის მოპოვებას, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ქვეყნები ენაცვლებოდნენ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი საერთაშორისო ასპარეზს იკავებს ინგლისური ენა და იგი ხდება ,,Lingua Franca'', რომელიც გულისხმობს ინგლისური ენის საკომუნიკაციო ენად გამოყენებას, მათ მიერ, ვისთვისაც ეს ენა არაა მშობლიური. საერთაშორისო როლის მინიჭებამ გაზარდა მისი შესწავლის მოთხოვნილება. მეორე ფაქტორი, რამაც ასევე დიდი როლი შეასრულა ინგლისური ენის შესწავლის მნიშვნელობის გაზრდაში, გახლავთ გლობალიზაცია. 21-ე საუკუნეში თანამედროვე ტექნოლოგიამ განვითარების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია. გაიოლდა ურთიერთობები, გაფართოვდა საზღვრები, ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციის სწრაფი გაცვლა, მოგზაურობა, სხვა ქვეყნის კულტურის გაცნობა და გათავისება, ეკონომიკის გაზიარება. ინგლისური ენა კი გახდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების საკომუნიკაციო საშუალება.

ბუნებრივია, რომ ამ გარემოებათა გათვალისწინებით ინგლისური ენის სწავლების მოთხოვნილება გაიზრდებოდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მიდგომაც შეიცვლებოდა მის მიმართ. როგორც ნებისმიერი უცხო ენისა, არც ინგლისური ენის შესწავლაა ადვილი. მისი აღქმა, შეთვისება და რეალიზება სრულფასოვნად, რომ იყოს შესაძლებელი, ინგლისური ენის სწავლება რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით უნდა წარმართოს მასწავლებელმა. ეს მიმართულებებია: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.

ჩვენი საკვლევი თემა ეხება მიმართულება ,,კულტურათა დიალოგს'' და ამ მიმართულებაში მოცემულ სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლას მულტიმედია

საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემაში. მოკლედ მოგახსენებთ მათ რაობასა და როლს.

სოციო-კულტურული ტექსტები მოიცავს, როგორც ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების კულტურული ფაქტებისა და ფასეულობათა შესახებ, ასევე ასახავს სხვადასხვა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას. მაშასადამე, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ შეეხონ მრავალი ქვეყნის მაღალ თუ ყოფით კულტურას და გაიღრმაონ ინტერკულტურული კომპეტენცია. ამ გზით ინგლისური ენის შესწავლა, ხელს უწყობს მისი საკომუნიკაციო საშუალებად გამოყენების სრულფასოვან შესაძლებლობას, რადგან თუ ადამიანი იცნობს პარტნიორის კულტურულ თავისებურებებს, პატივს სცემს და აღიარებს მის მრავალფეროვნებას, წარმატებული კომუნიკაციის ალბათობა გაცილებით დიდია.

მულტიმედია საშუალებები წარმოადგენს ინფორმაციათა გადაცემის მრავალნაირ სახეს. სხვადასხვა ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენება, უზრუნველყოფს ინფორმაციათა ცოდნად გადაქცევასა და გრძელვადიან დამახსოვრებას. კვლევაში გამოყენებულია ინსტრუმენტები: 1.**ვიდეო**, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო გზაა უცხოენოვან სამყაროში, მოსწავლეთა ვირტუალური მოგზაურობისა და მათი წეს-ჩვეულებების გათავისებისა. 2. **ინტერაქტიული ვიდეო-** მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობისა და ცოდნის განმტკიცების გარანტია. 3.**Quiz-ი** ცოდნის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა. 4. **Prezi** კი პრეზენტაციისა და ცოდნის წარმოჩენის ინსტრუმენტად გამოგვადგება. ბუნებრივია, ერთი და იგივე მასალის მიწოდება მრავალი საშუალებით ზრდის ენისა და კულტურის შესწავლის ეფექტიანობას.

ზემოთხსენებული თემის კვლევის საჭიროება საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში წამოიჭრა. ,,კრიტიკული მეგობრის" პროექტის ფარგლებში კოლეგები ვესწრებით ერთმანეთის გაკვეთილებს. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით იკვეთება პრობლემები და საკვანძო საკითხები, რომელსაც შემდგომ განვიხილავთ და ვაძლევთ ერთმანეთს ,,კრიტიკული მეგობრის" რჩევას. სწორედ ასეთი დაკვირვების განხორციელების დროს გამოვლინდა პრობლემა. გაჩნდა იდეა, რომ გვეზრუნა მოსწავლეთა ინტერკულტურული მიმართულებით განვითარებისთვის და ამ მიზნით გამოგვეყენებინა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ,,მასწავლებელთა განათლება'' სწავლისას გავლილი კურსი ,,მულტიმედია სწავლა სწავლების პროცესში''. ამ კურსის ფარგლებში შევისწავლეთ მრავალი ელექტრონული ინსტრუმენტი. ჩვენი აზრით, მათი ჩართულობა გაახალისებდა მოსწავლეებს, რომლებისთვისაც ინტერნეტი და თანამედროვე ტექნოლოგია ნამდვილად არ არის უცხო. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც მოგვცა მოტივაცია ჩაგვერთო მულტიმედია საშუალებები სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის პროცესში, სწორედ, იყო მოსწავლეთა მზაობა ტექნოლოგიების ზოგადი ცოდნის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიებთან შეხების პროცესი არ იქნებოდა რთული. თუმცა, სავარაუდოდ, რამდენიმე ინსტრუმენტი მათთვის იქნებოდა უცნობი, ხოლო სასწავლო მიზნით მათი გამოყენება-სიახლე.

მულტიმედია საშუალებების გამოყენებით საგაკვეთილო პროცესში ჩარევამდე აუცილებელი იყო გავცნობოდით გარკვეული ტიპის ლიტერატურას და სწორი მიმართულებით წარმართულიყო ემპირიული კვლევის პროცესი. ლიტერატურის მიმოხილვისას გავეცანით, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორების ნაშრომებს. აქტიურად ვიყენებდით ელექტრონულ საშუალებებს უახლესი ინფორმაციის მოსაპოვებლად. მნიშვნელოვან საკითხად მივიჩნიეთ გავცნობოდით მსგავს კვლევებს, რომლებიც საჭირო ინფორმაციას მოგვცემდნენ საკითხის მნიშვნელოვნობის განსაზღვრის თვალსაზრისით. ლიტერატურის გაცნობამ საფუძვლიანი ცოდნა მოგვცა სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის საზრისის განმტკიცების მიმართულებით, ხოლო შესწავლილმა ცნობებმა მულტიმედია საშუალებების შესახებ, გაგვიმყარა რწმენა მისი გამოყენების აუცილებლობისა ხსენებული ტექსტების შესწავლის პროცესში. საგაკვეთილო პროცესის წარმატებულად განხორციელებისა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შევისწავლეთ თვალსაჩინოების, ასაკობრივი პერიოდიზაციისა და დემონსტრირების მეთოდის არსი და მნიშვნელობა.

ამრიგად, ზემოთხსენებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის **მიზანია** მულტიმედია საშუალებების მნიშვნელობის განსაზღვრა სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის პროცესში ინგლისური ენის გაკვეთილზე (საბაზო

საფეხური. მე-9 კლასი). ამ მიზნის განსახორციელებლად კვლევა შეიცავს, როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ კვლევით ნაწილებს, რომელებსაც ოდნავ მოგვიანებით განვიხილავთ.

კვლევის ჩატარებისას აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს **თემის აქტუალობის განსაზღვრა.** საკითხის აქტუალობა ქვეყნის სახელმწიფოებრივი მიზნებიდან გამომდინარეობს. სწორედ, ამავე მიზნით შექმნილი **ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნები, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა** განსაზღვრავს თემის აქტუალობას.

მოსწავლის ტოლერანტულ მოქალაქედ აღზრდა, რომელსაც განვითარებული აქვს ურთიერთპატივისცემის უნარ-ჩვევა, არის ზოგადი განათლების ერთ-ერთი ეროვნული მიზანი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ კი უზრუნველყოფს ამ მიზნის მისაღწევი პირობების შექმნას, რომელშიც იგულისხმება განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და სხვა.
საქართველოს ეროვნულმა სასწავლო გეგმამ კი განსაზღვრა ამ მიზნის მისაღწევი შინაარსობრივი მხარე. სოციალური და სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა ერთ-ერთ გამჭოლ კომპეტენციას წარმოადგენს, მისი განვითარებისთვის კი შემოთავაზებულია მიმართულება ,,კულტურათა დიალოგი", რომლის დახმარებითაც მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოდნის შეძენა, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევის გამომუშავება და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება კულტურული გარემოს თვითმყოფადობის და განუმეორებლობის დაფასებისა და პატივისცემის თვალსაზრისით.

კვლევის სრულფასოვანი განხორციელებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია კვლევის **ამოცანების** განსაზღვრა, ლიტერატურის/დოკუმენტაციის ანალიზით, კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრით, კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებით შევძლებთ ემპირიული კვლევის სრულფასოვან ჩატარებას, შესაბამისი დასკვნების გაკეთებასა და სწორი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

კვლევის საგანად განისაზღვრა მულტიმედია საშუალებების მნიშვნელობა სოციო-კულტურული ტექსტების სწავლებისას, ინგლისური ენის გაკვეთილზე. **კვლევის ობიექტს წარმოადგენს** მულტიმედიის გამოყენების პროცესი მე-9 კლასში. კვლევის განხორციელებისას აუცილებელი ფაქტორია მკვლევარის მიერ **სიახლის**

მიგნება. ამ მიზნით, გავეცანით სხვადასხვა კვლევებს. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს: 1. მზექალა აჭაიძე, ,,ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში'',2018. მის ნაშრომში სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ინტერკულტურული სწავლების მნიშვნელობაზე. 2.ეკატერინე შავერდაშვილი. ,,უცხოური ენების სწავლების საფუძვლები'', 2014. ამ ნაშრომშიც ნათლად არის ასახული ინტერკულტურული სწავლების დასაბამი და თანამედროვე მიდგომები. 3. შალვა ტაბატაძე. ,,ინტერკულტურული განათლება საქართველოში". აქ საუბარია ზოგადად ინტერკულტურული სწავლების სარგებლიანობაზე. 4. ქ. ნანობაშვილი. Web-ტექნოლოგიები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009. ქ.ნანობაშვილი მის ნაშრომში დეტალურად აღწერს თანამედროვე ტექნოლოგეიბს და საუბრობს მისი გამოყენების სარგებლიანობაზე. როგორც ვხედავთ, თითოეულ კვლევაში საუბარია ინტერკულტურული სწავლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე ცალ-ცალკე, მაგრამ არა ინტეგრირებულად. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ მოძიებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, **კვლევის სიახლეს** წარმოადგენს მსგავსი კვლევის ჩატარების არ არსებობა. კვლევის **ჰიპოთეზად** ჩამოყალიბდა შემდეგი: ,,მულტიმედია საშუალებების გამოყენება გააუმჯობესებს სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის პროცესს".

კვლევაში გამოყენებულ იქნა **თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.** თვისებრივი კვლევის სახეებიდან დაიგეგმა **ფოკუს ჯგუფი** მასწავლებლებთან. ფოკუს ჯგუფის მიზანი იყო მასწავლებელთა მოსაზრებების, დამოკიდებულებებისა და დაბრკოლებების შესახებ ინფორმაციის გაგება. **რაოდენობრივი კვლევის** მეთოდად **მოსწავლეთა გამოკითხვა** შეირჩა. მისი მიზანი იყო არსებული მდგომარეობისა და მათი შეხედულებების დაზუსტება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კი დაიგეგმა **საგაკვეთილო პროცესში ჩარევა.**

ნაშრომი შედგება 3 ძირითადი თავის, კვლევითი ნაწილის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ნაშრომის **პირველ თავში** საუბარია ინგლისური ენის საერთაშორისო მნიშვნელობასა და საქართველოში მისი სწავლების როლზე. განსაზღვრულია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და მასწავლებლის როლი. ასევე, საუბარია, მასწავლებლის მიერ გასათვალისწინებელ მოსწავლეთა ასაკობრივ და

ინდივიდუალური თავისებრებების შესახებ. **მეორე თავში** წარმოდგენილია სოციო-კულტურული ტექსტების სწავლების მნიშვნელობა, ისტორიული ფაქტები, არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ. განხილულია მისი სემიოტიკური გაგება და აღწერილია, როგორც მატერიალური, ასევე მენტალური და სოციალური მიმართულებით მისი განვითარების არსი და ღირებულება. **მესამე თავი** ეხება მულტიმედია საშუალებების საგანმანათლებლო მიზნით გამოყენების მნიშვნელობას. განხილულია თვალსაჩინოების პრინციპი, რადგან კვლევაში განსახილველი ელექტრონული ინსტრუმენტები, სწორედ თვალსაჩინოების პრინციპს ეფუძნებიან. აღწერილია კვლევაში გამოყენებული მულტიმედია საშუალებების ინსტრუმენტები: ვიდეო, ინტერაქტიული ვიდეო, Quizizz.com და Prezi.com. მოცემულია ცნობები ვიდეო ჩვენების ისტორიული ფაქტებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ, საქართველოსა და საზღვარგარეთ. განხილულია ვიდეო ჩვენების უარყოფითი და დადებითი თვისებები. **კვლევით ნაწილში** აღწერილია ემპირიული კვლევის ჩატარება, რაც მოიაზრებს ფოკუ ჯგუფის წარმართვას, მოსწავლეთა გამოკითხვას და მულტიმედია საშუალებების გამოყენებით გაკვეთილების ჩატარებას. კვლევის დასასრულს მოცემულია კვლევის **შედეგებზე** დაყრდნობით შემუშავებული, **დასკვნები და რეკომენდაციები.** ასევე კვლევის მიმდინარეობისას გამოყენებულ მასალებს იხილავთ დანართების სახით.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომს გააჩნია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ღირებულება. თეორიული კვლევა იძლევა ამომწურავ ინფორმაციას საკვლევი პრობლემის შესახებ, ასახავს მისი გადაჭრის ეფექტურ გზებსა და სტრატეგიებს, ხოლო პრაქტიკულ ნაწილში მოცემულია ამ გზებისა და სტრატეგიების გამოყენების პროცესის აღწერა პრობლემის აღმოსაფხვრელად.

თავი I

1.ინგლისური ენის საერთაშორისო მნიშვნელობა და მისი სწავლების როლი საქართველოში

ინგლისური ენა საერთაშორისო ენაა. მსოფლიოში ხალხთა უმრავლესობა მას იყენებს საკომუნიკაციო საშუალებად. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ენის ცოდნა მნიშვნელოვანია და უპირობო უპირატესობით სარგებლობს ბიზნეს საქმიანობას, საერთაშორისო დიპლომატიას, საჰაერო/საზღვაო კომუნიკაციებს, განათლების სფეროსა და ინტერნეტ სივრცეში.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში იგი დამკვიდრდა, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ენა და მისი შესწავლის მოთხოვნილებაც გაიზარდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მანამ სანამ ინგლისური გახდებოდა ,,Lingua Franca", რაც გულისხმობს ინგლისური ენის საკომუნიკაციო ენად გამოყენებას, მათთვის ვისთვისაც ეს ენა არაა მშობლიური, მან დიდი ისტორიული გზა განვლო.

ინგლისური ენის მთელს მსოფლიოში გავრცელება უკავშირდება დიდი ბრიტანეთის მიერ კოლონიზაციის დაწყებას. დიდი ბრიტანეთი არ იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ცდილობდა თავის ძალაუფლება გაევრცელებინა სხვა ქვეყნებში. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა, როგორც ესპანეთი ისე საფრანგეთი და სხვა. ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენები ფიგურირებენ, როგორც საერთაშორისო ენა. თუმცა, როგორც აღვნიშნე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისური ენა სტაბილურად ითვლება საერთაშორისო ენად.

ჯ. ჰარმერის წიგნში ,,The practice of English language teaching" ვკითხულობთ, რომ 1985 წლისთვის დაახლოებით 380 მილიონი ადამიანისთვის იყო ინგლისური მშობლიური, ხოლო ინგლისური ენის, როგორც მეორე ენად მოსაუბრეთა რიცხვი მერყეობდა 250 მილიონ და 380 მილიონს შორის. ეს მონაცემები, რასაკვირველია, შეიცვალა. დღესდღეობით, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობა გაზრდილია და მათი საერთო რიცხვი მილიარდს აჭარბებს.(J.Harmer; 2007).

ჯ. ჰარმერი მის წიგნში ინგლისური ენის მომავალზეც საუბრობს დ. გრედოლის კვლევის გათვალისწინებით. იგი ამბობს, რომ თუ დავეყრდნობით დღევანდელამდე არსებულ მონაცემებს ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობის ზრდის შესახებ, მათი რიცხვი 2040 წლისთვის 3 მილიარდს მიაღწევს.(J.Harmer; 2007).

მსოფლიოში არსებული სიტუაციისა და გლობალიზაციის პირობებში ინგლსური ენის სწავლების მნიშვნელობა საქართველოშიც გაიზარდა. სახელმწიფო ზრუნავს საქართველოს საერთაშორისო ფერხულში ჩაბმის საკითხზე, ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების თვალსაზრისით.

ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება და მისი ცოდნის დონის გაზრდა გლობალიზაციის პროცესებში აქტიურ ჩართვას განაპირობებს, რაც გამოიწვევს ეკონომიკურ აღმავლობას, გაადვილდება ტურისტებისა და ბიზნეს პარტნიორების მოზიდვა, ხელმისაწვდომი გახდება განათლების მიღება, რაც ქვეყნის განვითარების საწინდარია.

ამდენად, ინგლისური ენისადმი განსხვავებული და გაძლიერებული მითხოვნები დადგა დღის წესრიგში. მისი შესწავლის უპირველესი მიზანი, განათლების მიღებასთან ერთად, გახდა მისი საკომუნიკაციო საშუალებად გამოყენების შესაძლებლობა. წარმატებული კომუნიკაციის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად, სხვა მიმართულებებთან ერთად, მოსწავლის ინტერკულტურული მიმართულებით განვითარება ითვლება. სახელმწიფოებრივი როლი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ საკითხის განვითარებასა და ხელშეწყობის თვალსაზრისით, რომლის მოვალეობაშიც შედის მის მოქალაქეებზე ზრუნვა, თუმცა არანაკლები მნიშვნელობის მქონეა მასწავლებლის როლი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მოსწავლეებთან და გარკვეულწილად განსაზღვრავს მის მომავალს.

1.1 მასწავლებლის როლი

სწავლა სწავლების საქმეში დიდია მასწავლებლის როლი. მასზეა დამოკიდებული გაკვეთილის ნაყოფიერი წარმართვა. კომპეტენტურობა და საკუთარი როლის ცოდნა, საგაკვეთილო პროცესში განსაზღვრავს მის ეფექტიან წარმართვას. ჰარმერი, ანიჭებს რა,

მასწავლებელს ფასილიტატორის როლს, ფიქრობს, რომ მასწავლებელმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს სტრატეგიები მოსწავლეთა გასამხნევებლად, რათა გახდნენ ისინი აქტიური მსმენელები. მასწავლებელთა როლს იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს: 1.მასწავლებელი- ორგანიზატორი. 2. მასწავლებელი- წარმმართველი. 3. მასწავლებელი უკუკავშირის მიმცემი. 4. მასწავლებელი ბიძგის მიმცემი. აღსანიშნავია, რომ ჰარმერი, სხვა აუცილებელ საკითხებთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს მათ მზაობას ტექნოლოგიების გამოყენების საბაზო უნარებისა და მეთოდების ცოდნის თვალსაზრისით. იგი დასძენს, რომ სწორედ ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობითაა შესაძლებელი მივიღოთ მასწავლებელი არა როგორც ინსტრუქტორი, არამედ მასწავლებელი პროცესიის წარმმართველი, მრჩეველი, ფასილიტატორი. (J.Harmer, 2007). ტექნოლოგიის გამოყენება გარკვეულ ენთუზიაზმსაც მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითგანვითარებაზე ზრუნვა ტოლფასია და საწინდარი მომავალი თაობების, როგორც ჰარმონიული ადამიანების აღზრდისა.

ქეით ჰარდინგი თავის სახელმძღვანელოში აღწერს მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლისა და სასწავლო პროცესის წარმატებულად განხორციელებისთვის გასათვალისწინებელ საჭიროებებს. მისი აზრით, შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას. ქეითი თვლის, რომ საჭიროების განსაზღვრა მასწავლებელს არ გაუჭირდება, თუ იგი გაივლის წინა საორგანიზაციო საკითხებს ყურადღებით. საგაკვეთილო პროცესის წარმატებით წარმართვისთვის მასწავლებელმა უნდა მოაწესრიგოს, როგორც ტექნიკური მხარე, ასევე გაკვეთილის შინაარსი. იგი ამბობს, რომ გაკვეთილის დასაწყებად აუცილებელია იყოს განსაზღვრული გაკვეთილის მიზანი, თემა, პროცედურები და აქტივობები.

მაშასადამე, გაკვეთილის მოდელის არსებობა აუცილებელია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა შეძლოს გეგმის ადაპტირება. მხოლოდ ამ აუცილებელი საკითხების მოგვარების შემდეგ გვირჩევს ქეით ჰარდინგი საგაკვეთილო პროცესის განხორციელებას. (K.Harding, 2007).

მასწავლებლის როლის აღწერისას ქესლიინ გრეივსი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად მიიჩნევს, გაკვეთილების დაგეგმვისას მიზნის დასახვასა და ამ მიზნამდე მიღწევის საშუალებების განსაზღვრას. იგი ამბობს, რომ მართალია, მიზნის დასახვა

არის ყველაზე რთული საქმე მასწავლებლისთვის, თუმცა მიზნის გარეშე მასწავლებელი ვერ შეძლებს დაგეგმოს კურსი და განავითაროს მოსწავლეების ცოდნა და უნარ-ჩვევები სრულყოფილად. (K.Graves,2000)

მასწავლებლის კომპეტენციასა და უნარ-ჩვევაზეა დამოკიდებული მოსწავლისადმი მისი მიდგომების ადეკვატურობა. სხვა მნიშვნელოვან საკითხთაგან გამოვყავით ასაკობრივი პერიოდიზაციასა და ინდივიდუალურ თავისებურებს. მათი გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია საგაკვეთილო პროცესის წარმატებული განხორციელება.

1.1.1 ასაკობრივი პერიოდიზაციის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

სწავლა სწავლების საქმეში, მოსწავლემ რომ სრულყოფილ წარმატებას მიაღწიოს, მის მიერ შეძენილი ცოდნა იყოს ნაყოფიერი და ეფექტიანი, აუცილებელია მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლის ასაკობრივი პერიოდი. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ჰარმონიულად, მისთვის გასაგები ტერმინოლოგიითა და სასწავლო მასალის შესაბამისობით. მასწავლებლის მიერ ასაკობრივი პერიოდიზაციის გათვალისწინება და სასწავლო პროცესის მასზე დაყრდნობით წარმართვა სწორედ ამ პროცესის ხელშემწყობი ფაქტორია.

ასაკობრივი პერიოდიზაციის საფეხურებად დაყოფა სხვადასხვა განმანათლებელს სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული სახით აქვს წარმოდგენილი. ამჯერად, დავეყრდნობი ქ. ჭკუასელის მონაცემებს. მისი თქმით ასაკობრივი პერიოდიზაცია გულისხმობს შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებს: ბავშვობის, საშუალო ბავშვობის, მოზარდობისა და ჭაბუკობის.

მოზარდობის ასაკი ემთხვევა საბაზო საფეხურს და იგი განისაზღვრება 11-15 წლის ასაკის გოგონებითა და 12-16 წლის ბიჭუნებით .

ქ. ჭკუასელის აზრით მოზრდილობის ანუ საბაზო საფეხურის პერიოდი მკვეთრად გამოეყოფა დანარჩენ საფეხურებს, მისი განვითარების თვალსაზრისით. სწავლებაში

გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ფიზიკური, ინტელექტუალური და ვოლიტური თავისებურებანი, რომელიც განსაკუთრებით მოზარდობის ასაკშია სენსიტიური.

იგი, ასევე აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში, მოზარდი მხოლოდ სქესობრივ მომწიფებას ასწრებს, რაც ძლიერ სულიერ გავლენას ახდენს მოსწავლეზე. აღსანიშნავია მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გასათვალისწინებელი მოზარდის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რადგან მისი განვითარების ეს პერიოდი განსაკუთრებულად ემოციური ფონით მიმდინარეობს.

მოზარდობის ასაკი ინტელექტუალური განვითარების მიმართულებითაც სენსიტიურია. ეს ის პერიოდია, როდესაც მოსწავლე ახერხებს, მაღალი სააზროვნო უნარები გამოავლინოს. კონკრეტული აზროვნება გადადის აბსტრაქტულ აზროვნებაში, ეს კი იმას ნიშნავს რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ლოგიკური აზროვნების გამოვლენაც. ამასთანავე, მოსწავლე იწყებს კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. (ქ. ჭკუასელი,ი. ჭკუასელი, 2012).

მასწავლებლის როლი დიდია მოსწავლეთა განვითარების საქმეში, ქ. ჭკუასელი აღნიშნავს, რომ თუ მასწავლებელი ყურადღებით ადევნებს თვალს მოსწავლეთა განვითარებას, ფლობს ინფორმაციას მათი საჭიროებების შესახებ, იგი ადვილად შეძლებს იპოვოს გზა როდის და როგორ, რა მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით შეძლოს მან მოსწავლეთა დახმარება. (ქ.ჭკუასელი,ი. ჭკუასელი; 2012) .

მაშასადამე, ასაკობრივი პერიოდიზაციის საკითხი მუდამ იყო სწავლა სწავლების საქმეში მნიშვნელოვანი ფაქტორი. იგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას და მიჩნეულია რომ მოზარდის სრულფასოვანი აკადემიური მოსწრებისთვის აუცილებელი გასათვალისწინებელი საკითხია.

1.1.2 ინდივიდუალური თავისებურებების მნიშვნელობა სწავლა სწავლების დროს

ყველა ბავშვი უნიკალური არსებაა და თითოეულს გააჩნია საკუთარი მისწრაფება და ინტერესი. ასაკობრივი პერიოდიზაციის განხილვისას გამოჩნდა, რომ შესაძლებელია კლასში ისხდნენ ერთი და იგივე ასაკის მოსწავლეები, თუმცა მათ ჰქონდეთ განვითარების განსხვავებული დონეები, ინტერესები, საჭიროებები ან პირიქით კლასში

იყონ სხვადასხვა ასაკის (14წ ან 15წ) მქონე ბავშვები და სწორედ ამით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მიზეზთა მრავალგვარობის გათვალისწინებით ცხადია, რომ თითოეული მოსწავლე არის განსხვავებული თავისებურებების მქონე ინდივიდი და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. ხსენებული მიდგომა, კი, თავისთავად უზრუნველჰყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის სრულფასოვან დაუფლებასა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქ. ჭკუასელის აზრით მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებანი ორ ჯგუფად იყოფა: თანშობილი და ცხოვრების მანძილზე შეძენილი თვისებები. იგი უპირატესობას თანშობილ მონაცემებზე დაფუძნებულ ინდივიდუალურ თავისებურებებს ანიჭებს და საუბრობს შემდეგი სამი ჯგუფის მოვლენებზე: ნიჭი, აქტივობის ბუნებრივი დონე და აგზნებისა და შეკავების თანშობილი მიდრეკილებანი.

ნიჭი, ეს არის ბუნებრივ მონაცემთა და უნართა ერთიანობა, რომელიც განვითარებას ჰპოვებს ცოდნა-ჩვევის მიღებისას სხვადასხვა აქტივობების დახმარებით. ასევე საგულისხმოა რომ არსებობს ორი სახის ნიჭი: 1.**ზოგადი**, რომელშიც ნაგულისხმებია გონიერება და მოსწავლის ზოგადი შესაძლებლობა. 2. **სპეციალური**, რომელიც უზრუნველჰყოფს ცალკეული მიმართულებების მიმართ განსაკუთრებულ შესაძლებლობას.(ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი; 2012).

აქტივობის ბუნებრივი დონე. აქტივობა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა. აქტივობის მაღალი დონე ბეჯითობაში იჩენს თავს, ხოლი აქტივობის დაბალი დონე სიზარმაცეში.

აქტივობის ბუნებრივი დონე და აგზნებისა და შეკავების თანშობილი მიდრეკილებანი. ამ ჯგუფის მიხედვით თითოეული მოსწავლე განსხვავდება ერთმანეთისგან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ზოგი ადვილად დაჰყვება აღმზრდელს, ზოგი კი მისი ბუნებიდან გამიმდინარე ძნელად სამართავია.

რა არის მასწავლებლის როლი და რა ქმედებებს უნდა მიმართოს მან არსებული პრობლემებისა თუ მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად?

ქ.ჭკუასელი გვთავაზობს შემდეგს: მასწავლებელმა უნდა დაადგინოს მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობები და მის მიხედვით დაგეგმოს გაკვეთილები, ხოლო დავალების შესრულება მოსთხოვოს მისი ნიჭისა და შესაძლებლობების

მაქსიმალური დონის გათვალისწინებით. მაღალი აქტივობის ბუნებრივად არ არსებობის შემთხვევაში, მასწავლებელმა ხელოვნურად, გარეგანი მასტიმულირებლებით უნდა შეძლოს მისი აწევა, ისე რომ აღძრას მოსწავლეებში ინტერესი, ჩამოუყალიბდეს პასუხისმგებლობა. (ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი; 2012).

მაშასადამე, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება გაკვეთილის დაგეგმვისას, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოზარდის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, მისი, როგორც აღმზრდელობითი, ასევე მაღალი აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით.

თავი II

სოციო - კულტურული ტექსტების სწავლების მნიშვნელობა

განათლება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კაცობრიობის განვითარების საქმეში. იგი საწინდარია უკეთესი მომავლისა. ყოველი გადადგმული ნაბიჯი სრულფასოვანი განათლების დასანერგად წარმატებაა თითოეული ჩვენგანისთვის, რადგან თაობა, რომელსაც ჩვენ ცოდნას გადავცემთ, გამოცდილებას ვუზიარებთ, ვეხმარებით სხვადასხვა უნარების განვითარებაში, ეცდება თავისი წვლილი შეიტანოს თანამედროვე სახელმწიფოს შექმნაში.

მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენცია არის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი, სრულფასოვანი და საჭირო ცოდნით აღჭირვილი პიროვნებების ჩამოსაყალიბებლად. სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის ეფექტიანობის გაზრდა მოსწავლეებში უზრუნველყოფს ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას. რაშია მისი ფასეულობა და რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ამ მიმართულების წინა პლანზე წამოწევამ მოსწავლეებს? შალვა ტაბატაძის ნაშრომში ვკითხულობთ, რომ განათლება, რომელიც აღიარებს, პატივს სცემს, ადასტურებს ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში მრავალფეროვნებას, როგორც ნორმას, წინ წამოსწევს თანასწორობას და ეწინააღმდეგება უსამართლო დისკრიმინაციას ინტერკულტურული განათლების მახასიათებლებს წარმოადგენს. (http://www.nplg.gov-.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e შ. ტაბატაძე) აქედან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საგაკვეთილო პროცესი პირდაპირ ორიეტირებულია და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მზაობას აღიარონ მრავალფეროვნება და თანასწორობა. მაშასადამე, ინტერკულტურული განათლების მთავარი მიზანი და დანიშნულებაა ხელი შეუწყოს მოსწავლის ინტელექტუალურ, სოციალურ და პიროვნულ განვითარებას ისე, რომ მოსწავლე ფლობდეს დემოკრატიულ ღირებულებებს და შეეძლოს მულტიკულტურულ საზოგადოებაში ჰარმონიული თანაცხოვრება. ეკატერინე შავერდაშვილის ნაშრომში ვკითხულობთ, რომ **ცოდნა,** ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების ფარგლებში, გულისხმობს უცხო კულტურის ცოდნას, ე.წ. ფაქტობრივ ცოდნას. **უნარ-**

ჩვევები - მოსწავლის შესაძლებლობას თავი გაართვას შესწავლილი კულტურული ასპექტების გამოყენებას რეალურ კომუნიკაციურ სიტუაციაში. რაც შეეხება **დამოკიდებულებების** სფეროს, მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი მოსაზრებისა და დამოკიდებულების გამოხატვა უცხო კულტურის რეალობასთან დაკავშირებით. (ე. შავერდაშვილი; 2014). ამ მიზნიდან გამომდინარე სკოლაში ინგლისური ენის სწავლება ითვალისწინებს სხვადასხვა ამოცანების გადაჭრას. მათ შორისაა უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის გაცნობა, ტექსტებისა და მათი მახასიათებლების ცოდნა, სამოქალაქო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და პოზიტიური დამოკიდებულების განვითარება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ. დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას ინგლისური ენის სწავლებისას კულტურის მიმართულებაში მოცემული სოციო-კულტურული ტექსტები უზრუნველჰყოფს.

2.1.სოციო-კულტურული ტექსტები და კულტურის სემიოტიკური გაგება.

უცხოური ენის, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია. იგი ემსახურება სახელმწიფო მიზანს და ხელს უწყობს თავისუფალი და საკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას. მაშასადამე, ინგლისური ენის სწავლების მიზნები მორგებულია გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. **სოციო-კულტურული ტექსტების ეფექტიანი შესწავლა** არის ის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ემსახურება ზემოთ ხსენებული კომპეტენციის სრულფასოვან დაუფლებას და იგი საწინდარია ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს დადებითი განწყობილება ენობრივ კულტურული მრავალეროვნების მიმართ. სოციოკულტურული ტექსტების რაობის ახსნას ეკეტერინე შავერდაშვილის წიგნის ,,უცხოური ენების სწავლების საფუძვლები”-ის მიხედვით შევეცდები. მისი თქმით, კულტურის სემიოტიკური გაგებით სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლა მიმდინარეობს სამ განზომილებაში: მატერიალური, მენტალური და სოციალური.

მატერიალური განზომილება გულისხმობს ტექსტების საშუალებით უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა კულტურის შესწავლა.

მენტალურ განზომილებაში მოიაზრება მოსწავლის მიერ უცხო კულტურის წარმომადგენელთა გამოცდილებების, გრძნობების, ღირებულებებისა და ნორმების გათავისება.

სოციალურ განზომილებაში კი მათი ცხოვრებისეული გამოცდილების გათავისება, საკუთარ კულტურასთან შედარება და გაზიარება.

2.1.1.მატერიალური განზომილება

ე. შავერდაშვილის განმარტებით, კულტურული ტექსტები წარმოადგენს კულტურის ,,საერთო ტექსტის'' ამონარიდს. საგაკვეთილო პროცესში ხსენებული ტექსტები შესასწავლი ქვეყნის კულტურის ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ხორციელდება კულტურის ტექსტების საშუალებით შესწავლა. სასწავლო პროცესში კულტურული ტექსტები მნიშვნელოვან მედიასთან ერთად არის ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების, ზოგ შემთხვევაში ერთადერთი წყარო, რადგან საკლასო ოთახში კულტურის გაცნობა, მხოლოდ სხვადასხვა სახის ტექსტების საშუალებით ხდება. მაშასადამე, საგაკვეთილო პროცესში მიმართულება ,,კულტურათა დიალოგის'' განხორციელებისას, გაკვეთილი მთლიანად კულტურის მატერიალურ განზომილებას ეყრდნობა. (ე.შავერდაშვილი; 2014).

2.1.2.მენტალური და სოციალური განზომილება

კულტურის მრავალგანზომილებიანი გაგების მიხედვით საგაკვეთილო პროცესში მატერიალურ მხარესთან ერთად უნდა მოხდეს **მენტალური** და **სოციალური** განზმილებების განვითარებაც. ტექსტების გარდა მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს გაეცნოს კულტურის მენტალურ ასპექტებს, ცხოვრებისეულ პირობებს, რაც თავისთავად, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სხვადასხვაობისა და მრავალფეროვნების დაფასებისა და აღიარების ხარისხის ზრდასა და ენის სრულყოფილ შესწავლას. (ე.შავერდაშვილი; 2014). სწორედ ამ განზომილებების განვითარებისა და სრულყოფილი აღქმის საწინდარია ვიდეო ჩვენების, როგორც ერთ-ერთ სტრატეგიად

გამოყენება. რომელზეც სრულყოფილ ინფორმაციას მულტიმედია საშუალებების განხილვისას და ემპირიული კვლევის ნაწილში მოგახსენებთ.

მაშასადამე, მიმართულება კულტურათა დიალოგი აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას შევიდნენ უცხო სამყაროში, გაეცნონ, აღმოაჩინონ, შეიმეცნონ, შეისწავლონ, დააფასონ და აღიარონ ცხოვრების განსხვავებული წესები და ტრადიციები, ღირებულებები და მენტალობები.

2.2.სოციო -კულტურული ტექსტების სწავლების ისტორია

სოციო-კულტურული ტექსტების სწავლების როლის მნიშვნელობა, დღითი დღე იზრდება საგანმნათლებლო სისტემაში. მოსწავლე რომ თანამედროვე მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს და შეძლოს სოციუმში ინტეგრირება, მისი სწავლების მიმდინარეობა უნდა აკმაყოფილებდეს იმ დროისა და ეპოქის მოთხოვნებსა და მიზნებს. როგორც ზემოთ, არაერთგზის, აღვნიშნე სოციო-კულტურული ტექსტების სწავლება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას. ეს პროცესი, რათქმაუნდა, ამ ეპოქაში არ დაწყებულა და როგორც ყველა, ისე ,ამ საკითხსაც აქვს თავისი ისტორიული დასაწყისი. საინტერესო იქნებოდა თუ სად ჰქონდა დასაწყისი და როგორ ხდებოდა ინტერკულტურული სწავლების განვითარება. ამ მიზნით გავეცანი ეკატერინე შავერდაშვილის ნაშრომს ,,უცხოური ენების სწავლების საფუძვლები", სადაც იგი განიხილავს ინტერკულტურული სწავლების ისტორიულ ფაქტებს. ეკეტერინე შავერდაშვილის თქმით, ქვეყანათმოცდნეობას სწავლა სწავლების საქმეში ყოველთვის დიდი როლი ენიჭებოდა. იგი დამკვიდრდა მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან და უცხოური ენის ადვილად და ეფექტურად ათვისებას უზრუნველყოფდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი სწავლება მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის გადაცემით შემოიფარგლებოდა, რაც ნამდვილად ვერ უზრუნველყოფდა საკომუნიაკციო უნარ-ჩვევებით აღჭურვილ მოსწავლის აღზრდას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს და აღიარებს კულტურულ მრავალფეროვნებასა და სხვადასხვაობას. სწორედ ამიტომ, 21 საუკუნის მოთხოვნილებების თანახმად, ქვეყანათმცოდნეობა ინტერკულტურულმა

სწავლებამ ჩაანაცვლა. ინტერკულტურული სწავლებისას ხდება როგორც მაღალი ,ასევე ყოფითი კულტურის აღქმა, შესწავლა და დაფასება. შესაბამისად უცხო ენის სწავლების მთავარი მიზანი კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება შეიცვალა ინტერკულტურული კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებით. (ე.შავერდაშვილი; 2014).

2.3.საქართველოში არსებული მდგომარეობა სოციო -კულტურული ტექსტების სწავლების თვალსაზრისით

ინტერკულტურული განათლების მახასიათებლები, მიზნები და შედეგები ცხადყოფს მისი განხორციელების სახელმწიფოებრივ აუცილებლობას. საქართველოს ეროვნული მოზნების ერთ-ერთი მთავარი დებულებაა აღიზარდოს მოსწავლე ტოლერანტ მოქალაქედ, ხოლო საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მესამე მუხლის ,,ბ'' პუნქტში მიგვითითებს, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემის გაცნობიერებაში ხელის შეწყობა".(საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.08/04/2005). ხოლო ამ მიზნის მისაღწევად ამავე მუხლის მეორე თავის ,,ა'' პუნქტის მიხედვით სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას. დოკუმენტები საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ფუნდამენტური წყაროა ეროვნული სასწავლო გეგმისთვის, რომელიც გამოყოფს გამჭოლ კომპეტენციებს, ისახავს მიზნებს და ადგენს სასწავლო გეგმას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი კომპეტენცია: ,,სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია". იგი გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნე-ბა, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დე-მოკრატიული პრინციპების აღიარება. ამ კომპეტენციების უზრუნველსაყოფად კი ერო-ვნული სასწავლო გეგმა გვთავაზობს სასწავლო მიმართულებებს, მიზნებსა და გეგმებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანს წარმოადგენს: უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის გაცნობა; პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუ-ალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა; კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა. ესგ თითოეული საფეხურისათვის ადგენს სასწავლო გეგმას, სადაც ნათლად ჩანს თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს მოსწავლე ამ საფეხურის გავლის შემდეგ. ვინაიდან ჩვენს საკვლევ საფეხურს წარმოადგენს საბაზო საფეხურის მე-9 კლასი, მხოლოდ სხენებული საფეხურის შედეგებს წარმოგიდგენთ:

„კულტურათა დიალოგი" უცხ.ს.III.21. *„მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის / ქვეყნების კულტურულ რეალიებს. (უცხ. ს. III)მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას უცხოენოვანი კულტურული და სოციო-კულ-ტურული თავისებურებების მიმართ".* [ესგ.უცხოური ენები.http:/ncp.ge/ge.curriculum].

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შეიმუშაოს სასწავლო სასკოლო გეგმა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. (თავი მე-3სასკოლო სასწავლო გეგმა.მუხლი მე-11.)

სსიპ ქალაქ თბილისის #147 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს **სასკოლო გეგმა** სკოლის დირექტორის მონაწილეობით, რომელიც შეთანხმებულია სსიპ ქალაქ თბილისის #147 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2018 წლის 07 სექტემბრის N 9 სხდომაზე და დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის #147 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 07 სექტემბრის N 7 სხდომაზე.(ქალაქ თბილისის # 147 საჯარო სკოლის სასკოლო გეგმა.2018-2019.)

სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება გეგმის ნაწილებისაგან, სადაც სხვა გეგმებთან ერთად მოცემულია შემდეგი გეგმის ნაწილები: 1.სკოლის მისია. 2.საათობრივი ბადე. 3.საგნობრივი კათედრები.

1.სკოლის მისია.სკოლის მისიაში ნათლადაა განსაზღვრული, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მას: შეუქმნას მოსწავლეს კონკურენტუნარიანი, ჯანსაღი, აკადემიური, სოციო-კულტურული, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო,

რომელიც მშობლებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით იქნება მიღწეული.

საბაზო საფეხურის მისია-აქტიური მოქალაქისა და სხვადასხვა უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა და სხვ.

(ქალაქ თბილისის # 147 საჯარო სკოლის სასკოლო გეგმა.2018-2019.)

2.საათობრივი ბადე. საათობრივი ბადე განსაზღვრავს წლიური ჯამური საათების რაოდენობას. (მაგ:საბაზო საფეხური-მე-9კლასი-კვირაში 2 საათი.) შემაჯამებელი დავალების რაოდენობას.(საბაზო საფეხური მე-9კლასი-პირველი სემესტრი-2.მეორე სემესტრი-3.)

3.საგნობრივი კათედრები. სკოლაში არსებულ რვა კათედრას შორისააუცხოური ენების კათედრა, რომლის ფუნქციას წარმოადგენს: სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვას, კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება, საგნობრივი ჟგუფების სწავლების კოორდინირება და სხვ. კათედრა იკრიბება სასწავლო წლის დაწყებამდე. იქმნება საგნობრივი სილაბუსები. წარმოგიდგენთ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გამოყენებით შედგენილ სილაბუსს მიმართულებს ,,კულტურათა დიალოგის" ფარგლებში.

საბაზო საფეხურის მე-9კლასი სილაბუსი

მიმართულება ,,კულტურათა დიალოგი"

მიზანი: Iუცხ.საბ.11. კულტურათშორისი დიალოგის ხელშემწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების გაზიარება.

ცხრილი 2.3.1.

#	თემა	გვ
1	Special days in the USA	17
2	The working life of British teenagers	25
3	Spoting traditions and habits	33
4	All about English	45
5	The Kruger national park	53
6	Special places	61
7	A global culture	73
8	Movie time	81
9	Sydney	89

(ქალაქ თბილისის # 147 საჯარო სკოლის სასკოლო გეგმა.2018-2019.)

აქვე გთავაზობთ სასკოლო სახელმძღვანელოს აღწერას, რომელიც სასკოლო რესურს წარმოადგენს.

თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში, როგორც ადრეულ ეპოქებში, სახელ-მძღვანელოს როლი დიდია. იგი წარმოადგენს ძირითად რესურსს, რასაც მასწავლებელი იყენებს მოსწავლეთა ცოდნისა თუ უნარ-ჩვევების გასავითარებლად. მე-9 კლასის სახელმძღვანელო დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტუ-რისა და სპორტის სამინისტროს მიერ. (*„Oxford University Press“. წარმომადგენელი შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში“ თანაავტორები: Caroline Kratz, Brigit Viney, Paul Kelly, Sheila Digen, Viviene Swaine,Jayne Wildman, James Styring, Helen Holliwell, Kethy Gude, Michael Duckworth).* სახელმძღვანელო შედგება 9 თავისაგან. თითოეული თავი შედგება კითხვის, წერისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევათა გასავითარებელი გაკვეთილებისა-გან. გარდა ამისა იგი მოიცავს მოსწავლეთათვის გრამატიკული ელემენტების გაცნობის, გამოთქმის გასაუმჯობესებელ და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელ გაკვეთილებს. სახელმძღვანელოს შემდგენლებმა ასევე იზრუნეს მოსწავლეთა განათლებასა და მათი

უნარ-ჩვევების განვითარებაზე ინტერკულტურული მიმართულებით. სწორედ ამიტომ სახელმძღვანელოში შეტანილია მიმართულება ,,კულტურათა დიალოგი". აღნიშნულ ქვეთავში მოცემული სოციო- კულტურული ტექსტები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, როგორც მაღალი, ასევე ყოფითი კულტურის შესახებ. გარდა ამისა, იგი შეიცავს, ისეთ აქტივობებს და დავალებებს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს შესწავლილი მასალა შეადაროს საკუთარი ქვეყნის მსგავს კულტურულ მოცემულობას და შეიქმნას საკუთარი დამოკიდებულებები ამა თუ იმ კულტურული საკითხის შესახებ. ცოდნა, უნარ-ჩვევები და საკუთარი დამოკიდებულებების ქონა კი მოსწავლეს ავითარებს და ამზადებს მომავალი წარმატებული ცხოვრებისთავის. კვლევაში მოცემული გაკვეთილის გეგმები სწორედ ამ სახის სოციო-კულტურული ტექსტების მიხედვითაა შედგენილი.

2.4. სოციო - კულტურული ტექსტების სწავლების მდგომარეობა საზღვარგარეთ

ჩვენი კვლევის ფარგლებში საინტერესო და აუცილებელიც იყო გავცნობოდით სოციო-კულტურული მიმართულების სწავლების მდგომარეობას საზღვარგარეთ. ამ მიზნით შევარჩიეთ ინგლისი და გავეცანით მის ეროვნულ სასწავლო გეგმას. როგორც ელექტრონული წყაროებიდან აღმოჩნდა, ინტერკულტურული ცნობიერების განვითარებას დიდი ადგილი უკავია დიდი ბრიტანეთის საგანმანათებლო სესტემაში. ცნობების გაცნობისას აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს მოსწავლის, როგორც სხვადასხვა კულტურული ღირებულებების დაფასებისა და პატივისცემის უნარის მქონე ადამიანის განვითარება. თითოეული საგნის სწავლების გეგმაში ნათლად არის მოცემული და ხაზგასმული, თუ რა ცოდნა-ჩვევების დაუფლება უნდა შეძლოს მოსწავლემ. მაგალითად ინგლისური ლიტერატურის სწავლებისას ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შესწავლილი პოემების, მოთხრობების, ლექსებისა თუ სხვა, ხელოვნების ნიმუშების დაფასება.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გავცნობოდი უცხო ენის სწავლების მიმდინარეობის შინაარსს დიდ ბრიტანეთში. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნათლად არის აღნიშნული,

რომ უცხო ენის სწავლება არის განთავისუფლება ჩაკეტილობისგან. უცხო ენის სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეს გაუზარდოს შესასწავლი ენის ქვეყნის კულტურული ცნობიერება და გაუღვივოს მისდამი პატივისცემა, ცნობისმოყვარეობა. ასევე მასწავლებლის მოვალეობაში შედის განუვითაროს მოსწავლეს შესწავლილი კულტურის შესახებ საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უნარი.

ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით კი არსებობს ეგრეთ წოდებული- ''The school curriculum in England'' ანუ სასკოლო კურიკულუმი. დიდი ბრიტანეთის ყველა სკოლა რომელიც ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ვალდებულია გააჩნდეს საკუთარი სასკოლო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა დიდი ბრიტანეთის ეროვნულ მიზნებს. შესაბამისად, სკოლის მთავარ მიზანს სხვა მიზნებთან ერთად წარმოადგენს მოსწავლის ინტერკულტურული აღზრდა და ამ მიზნისაკენ მიმავალი მასწავლებლისა თუ მოსწავლის ხელშეწყობა. მოსწავლის ინტერკულტურული ღირებულების მთავარ ხელშემწყობ პირობად კი მისი შესაძლებლობებისთვის გზის მიცემა, პასუხისმგებლობის უნარის ჩამოყალიბება და გამოცდილების შეძენაამიჩნეული. (https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/425601/_national_curriculum.pdf).

თავი III

3.მულტიმედია საშუალებების როლი საგანმანათლებლო სისტემაში

დღეს, 21-ე საუკუნის განვითარებულ სამყაროში, როცა ტექნოლოგიამ განვითარების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია, მისი გამოყენების არეალიცა და სიხშირეც გაზრდილია. თუმცა არსებობს საფრთხე იმისა, თუ რამდენად მიზანშეწონილად და ზომიერად მოიხმარს მას ადამიანი, უმთავრესად კი მოზარდი, ისე რომ ზიანი არ მიადგეს მის, როგორც ფიზიკურ ისე გონებრივ ზრდას. აქედან გამომდინარე გასაკვირიც არ არის, რომ საგანმანათლებლო სისტემაში აქტიურად ინერგება მისი სწავლება. სასკოლო პროგრამაში შეტანილია თანამედროვე ტექნოლოგიის სწავლება საგნად, თუმცა ელექტრონულ სახელმძღვანელოში ,,ინოვაცია განათლებისთვის და განათლება ინოვაციისთვის'', ვკითხულობთ, რომ სკოლებში ისტ-ის დანერგვის შედეგი, მისი სასწავლო პროცესში, სხვა საგნებთან ინტეგრირების თვალსაზრისით ზედაპირულია. ამის ერთ-ერთ მიზეზად, ამავე სახელმძღვანელოში სახელდება მასწავლებელთა კომპეტენციის არ ქონა ამ საკითხში. გამოსავალს იგი ხედავს მასწავლებელთა მომზადებასა და მათი უნარების განვითარებას ამ მიმართულებით. (http://www.oecd.org/education/ceri/GEIS2016-Background-document.pdf). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ საკითხზე ზრუნვა დაწყებულია და ამის ნათელ მაგალითად შემიძლია მოვიყვანო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც სამაგისტრო პროგრამაზე ,,მასწავლებელთა განათლება" სწავლის დროს გავიარე კურსი ,,მულტიმედია სწავლა-სწავლების პროცესში". მიზანი ამ კურსის გახლავთ გააცნონ და შეასწავლონ სტუდენტებს მულტიმედია ინსტრუმენტები, ინგლისური ენისა და სხვა საგნების სწავლების პროცესში გამოსაყენებლად, რათა უკეთესი შედეგი იყოს მიღწეული. კურსი ფოკუსირებულია ციფრული ტექნოლოგიების გაცნობას, შესწავლასა და დიზაინის მორგებაზე, ისე რომ შემდგომ კურსდამთავრებულმა შეძლოს მათი ინტეგრირება საკლასო ოთახში. (http://elearning.tsu.ge/course/view.php?id=181).

ამ კურსის გავლისას გავეცანით სხვადასხვა ელექტრონულ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებაც დიდი სიახლე იყო ჩვენთვის. თავდაპირველად, საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასავითარებლად გამოვიყენეთ იგი, ხოლო მას შემდეგ რაც დავრწმუნდით მისი სწავლების პროცესში ჩართულობის აუცილებლობაში, ვეცადეთ გამოგვეყენებინა იგი მოსწავლეებთან. რა არის მულტიმედია და რა როლი აკისრია მას მოსწავლეთა განვითარების საქმეში?

მულტიმედია ახალი მასალის, გარკვეული სახის ინფორმაციის, მიწოდების, შენახვის და წარმოების სხვადასხვა საშუალებებს წარმოადგენს, სადაც გაერთიანებულია, ხმოვანი და ვიზუალური საშუალებები, რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია.

ვიდეო, ინტერაქტუილი ვიდეო, Prezi და Quiz-იც გახლავთ მულტიმედიის ერთ-ერთი ციფრული საშუალებები. მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში არის შესანიშნავი გზა შევუღოთ ინგლისურენოვანი (და არა მარტო) სამყაროს კარები მოსწავლეებს და სწავლების პროცესი გავხადოთ სასიამოვნო და სასარგებლო.

თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება შეცვლის სასკოლო გარემოს, ვკითხულობთ სახელმძღვანელოში ,,ინოვაცია განათლებისთვის და განათლება ინოვაციისთვის'', თუმცა აქვე დასძენენ, რომ ციფრული სამყარო თანაბარწილად უნდა იყოს შერწყმული ფიზიკურ და სოციალურ სამყაროსთან, რათა ზომიერად და მიზანმიმართულად მოხდეს მოსწავლის ყოველმხრივი განვითარება.(http://www.oecd.org/education/ceri/GEIS2016-Background-document.pdf).

მულტიმედია საშუალებებზე საუბრისას არ შეიძლება არ მოგვაგონდეს თვალსაჩინოების პრინციპი, რომელსაც ოდითგანვე ეკავა უდიდესი ადგილი საგანმანათლებლო სისტემაში. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ პრინციპის განსაზღვრა.

3.1. თვალსაჩინოების როლი სწავლების პროცესში

ინგლისური ენის შესწავლისას უდიდესი როლი ენიჭება თვალსაჩინოებას. ეს პრინციპი სასწავლო პროცესის თანმდევი, დამხმარე და ზოგშემთხვევაში, წარმმართველი პრინციპიც კი გახლავთ.

უცხო ენის შესწავლის თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა დიდია, რადგან გრძნობათა ორგანოების ჩართვით მოსწავლეს უადვილდება ახალი ცნებებისა და კონტექსტების აღქმა და დამახსოვრება. ზრდის მის ეფექტიანობას. როგორ ხდება ეს? ამ საკითხის შესახებ დ. ლორთქიფანიძე წერს*: ,,ბავშვმა რომ რამე შეისწავლოს, ამ საგანმა უნდა იმოქმედოს მის გრძნობათა ორგანოებზე".* [დ.ლორთქიფანიძე; 1983; 96]. მისვე აზრით, თვალსაჩინოება წარმოადგენს ერთ-ერთ დიდაქტიკურ პრინციპს, რომლის განხორციელებასაც სჭირდება სხვადასხვა მეთოდები და პრინციპები. (მაგ:დემონსტრი-რების მეთოდი).

დ.ლორთქიფანიძის წინში ვკითხულობთ, რომ თვალსაჩინოებას ი. ა. კომენსკი ,,სწავლების ოქროს წესს" უწოდებს. (დ.ლორთქიფანიძე;1983).

არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს დ.ლორთქიფანიძე პესტალოცისა და უშინსკის მოსაზრებას. პესტალოცი მას თვალსაჩინოებას სწავლების ,,უმაღლეს საწყისს'' უწოდებდა. უშინსკი კი - სწავლების საფუძვლადაც მიიჩნევდა. იგი თვლიდა რომ თვალსაჩინოება საფუძველია საკითხის ღრმად შესწავლისა, რადგან ამ დროს მოსწავლის ყურადღება შენარჩუნებულია. თუმცა აღსანიშნავია ისიც რომ უშინსკი მიგვითითებს მის სწორ გამოყენებაზე, რათა მოსწავლემ არ დაკარგოს ინტერესი. დიუისათვის კი, როგორც პრაგმატისტი მეცნიერისა, თვალსაჩინოება სწავლების ამოსავალი წერტილია.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ჰერბარტის აზრიც. იგი მიიჩნევს, რომ თვალსაჩინოება არის ,,რეალიების" სრულყოფის ერთ-ერთი საშუალება. რა არის მასწავლებლის როლი ამ საქმეში? პირველ რიგში აუცილებელია გაითვალისწინოს მოსწავლეთა მზაობა, ასაკობრივი თავისებურება და განვითარების დონე. განსაზღვროს სასწავლო თემა და უზრუნველყოს ტექნიკური მხარე. (დ.ლორთქიფანიძე; 1983).

თვალსაჩინოების მიზნობრივი გამოყენება მასწავლებლის კომპეტენტურობას, ცოდნასა და უნარზეა დამოკიდებული. მან უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, მოთხოვნები, საჭიროებები. თვალსაჩინოება თემატურად უნდა ემთხვეოდეს საგაკვეთილო პროცესზე განსახილველ მასალას. მასწავლებელმა, ასევე უნდა განსაზღვროს გაკვეთილის რომელ ეტაპზე იქნება მისი გამოყენება ეფექტური და სარგებლიანი. (გაკვეთილის დასაწყისში, როგორც pre-teaching;

გაკვეთილის მიმდინარეობისას-while teaching თუ გაკვეთილის დასასრულს-post-teaching).

თვალსაჩინოების ეფექტურობისა და მოსწავლეთა მუდმივი მზადყოფნისთვის, ინტერესით ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში, აუცილებელია თვალსაჩინოებამ არ დაკარგოს ფუნქცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მასწავლებლის მიერ მომზადებული თვალსაჩინოება იყოს საგაკვეთილო მიზანთან შესაბამისი, აქტუალური, საინტერესო და რა თქმა უნდა გათვალისწინებული იყოს მისაწვდომობა, რათა არ გამოიწვიოს სწავლების პროცესის შეფერხება და განუხოციელებლობა. (დ.ლორთქიფანიძე; 1983).

მაშასადამე, თვალსაჩინოების გამოყენებით სწავლება, სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის ხელშემწყობი მეთოდია, რომელიც სხვადასხვა ინფორმაციის სხვადასხვაგვარად დემონსტრირებით აადვილებს სასწავლო მასალის აღქმას, გაგებასა და შესწავლას. როგორც ვხედავთ, თვალსაჩინოების გამოყენების ტენდენცია შორეულ წარსულშიც შეინიშნება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ის მუდამ იყო აქტუალური და სწავლების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი სტრატეგია.

21-ე საუკუნეში კი, როდესაც ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებამ მწვერვალებს მიაღწია მისი გამოყენების არეალიც გაფართოვდა და სასწავლო მიზნით გამოყენების მოთხოვნილებაც გაიზრდა. დოკუმენტური, მხატვრული თუ სხვა სახის ვიდეოები, ფილმები, თვალსაჩინოების ტიპს წარმოადგენს, რომლის ილუსტრირებაც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ერთ-ერთ მოტივატორად ჩაითვლება.

3.1.1.დემონსტრირების მეთოდი

ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა თანამედროვე მოქალაქის წარმატებული ცხოვრების საწინდარია. მნიშვნელოვანი როლი უცხო ენის სწავლა-სწავლების საქმეში უკავია, იმას, თუ როგორ ვასწავლით მოსწავლეს, რა ხერხებს, გზებს, საშუალებებსა და სტრატეგიებს ვიყენებთ. სწავლებისთვის გამოყენებულ გზებს, ხერხებსა და საშუალებებს სწავლების მეთოდიკა ჰქვია. იგი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და გზას, ხერხს ნიშნავს. მეთოდი არის *,,მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევათა*

გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მხრიდან შეთვისების გზა, ხერხი და საშუალება".[დ.ლორთქიფანიძე; 1983; 197].

დ. ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ მეთოდის არსი არამარტო მის გამოყენებაშია არამედ მის სწორად შერჩევაში, რადგან არასწორად შერჩეულმა მეთოდმა შესაძლებელია, არათუ განავითაროს მოზარდი, პირიქით ყველა დასახული მიზანი მიუღწეველი დარჩეს. რა მოთხოვნებს უყენებს სწავლების პროცესი მეთოდს? თითოეული მეთოდი უნდა იყოს:

1. მისაწვდომი მოსწავლისათვის.
2. იწვევდეს აქტიურობას.
3. სასწავლო სიძნელის დაძლევის პროცესი იყოს საინტერესო.
4. განამტკიცოს კავშირი ცხოვრებასთან.
5. უზრუნველყოფდეს ტექნოლოგიის გამოყენებას. (დ.ლორთქიფანიძე; 1983).

მეთოდოლოგიაზე საუბრისას ჯ.ჰარმერი გამოყოფს სწავლებისას გასათვალისწინებელ შემდეგ საკითხებს: მიდგომა, მეთოდები, პროცედურები და ხერხები.

მიდგომა აღწერს, თუ როგორ ხდება მოსწავლეების მიერ ცოდნის აღქმა და ენობრივი კომპეტენციის გაზრდა.

მეთოდი უზრუნველყოფს მიდგომის პრაქტიკულ რეალიზებას. მისი სისრულეში მოსაყვანად კი გამოიყენება სხვადასხვა ტიპის აქტივობები, სასწავლო მასალა, სილაბუსი, პროცედურები, ხერხები და რასაკვირველია მთავარი პერსონაჟები: მასწავლებელი და მოსწავლე განსაზღვრული როლებით.

პროცედურა წარმოადგენს კარგად დაგეგმილი ხერხებისა და სტრატეგიების თანმიმდევრობას, რაც აუცილებელი პირობაა გაკვეთილის ეფექტური ჩატარებისა.

ხერხი ეს არის ერთი კონკრეტული აქტივობა რომელიმე პროცედურის განსახორციელებლად. ერთი პროცედურა შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ხერხისაგან.

დ. ლორთქიფანიძის რჩევას მეთოდის შერჩევასთან დაკავშირებით განამტკიცებს ჯ.ჰარმერის მოსაზრება, როცა ის ამბობს, რომ მეთოდის გამოყენებამდე უნდა განისაზღვროს:

1. თეორიულად მოცემული მეთოდის სწავლებაში ჩართულობის ეფექტიანობა.

2. გამოსაყენებელი პროცედურების შესაბამისობა სასწავლო მასალასა და მოსწავლეებთან.

3. გამოსაყენებელი ხერხების რელევენტურობა, როგორც მოსწავლესთან ისე მასწავლებელთან.

4. განისაზღვროს ნამდვილად მოხდება თუ არა, ამ ხერხის გამოყენების შემდეგ დასახული მიზნის მიღწევა.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესრულება უზრუნველჰყოფს მეთოდის ეფექტიან გამოყენებასა და სასწავლო პროცესის წარმართვას დასახული მიზნის მისაღწევად.(J.Harmer; 2007).

მეთოდთა სხვადასხვაობის მხრივ საინტერესოა დ.ლორთქიფანიძის მოსაზრება. იგი მეთოდის კლასიფიკაციას გვთავაზობს.(ამჯერად მხოლოდ ერთ-ერთზე გავამახვილებთ ყურადღებას). **დემონსტრირების მეთოდი** ერთ-ერთი მათგანია. დ.ლორთქიფანიძის აზრით, იგი თვალსაჩინოების პრინციპისა და შეგნებული სწავლების განხორციელების ერთ-ერთი გზაა. ამ მეთოდის გამოყენებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მასალის სწორად შერჩევის საკითხი. იგი დიდი სიფრთხილით, მოსწავლეთა საჭიროებებისა და შესასწავლ მასალასთან თემატური კავშირის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოსწავლემ ამ მეთოდით შესაძლოა უფრო ეფექტურად, დინამიკაში დაინახოს, აღიქვას და შეისწავლოს ის საგნები და მოვლენები, რომლების სრულფასოვანი შესწავლაც შეუძლებელი იქნებოდა ვერბალური გზით გადაცემისას. დ.ლორთქიფანიძე იძლევა რეკომენდაციებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა ვიდეო ჩვენებისას: 1.მასალა შერჩეულ უნდა იქნას სასწავლო საგანთან შინაარსობრივი თანხვედრის გათვალისწინებით. 2. წინასწარ დამუშავებული მასწავლებლის მიერ. 3. გააცნოს მოსწავლეებს, თუ რის ნახვას აპირებენ ისინი. 4. პირველად ვიდეოს ჩვენება მოხდეს უწყვეტად, რათა შეძლონ მოსწავლეებმა მთავარი აზრის გამოტანა. 5. ვიდეოს ჩვენება მეორედ(წყვეტილად)ცალკეული საკითხების გასაგებად. 6. მასწავლებელმა უნდა დასვას შეკითხვები მოსწავლეთა შეთვისების დონის გასაგებად. (დ.ლორთქიფანიძე; 1983).

ამრიგად, როგორც ვხედავთ დემონსტრირების მეთოდის გამოყენება წინა საუკუნეშიც იყო აქტუალური და ფასდაუდებელი წყარო მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევათა გასავითარებლად. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია დ.ლორთქიფანიძის მოსაზრება ტექნიკური საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, რაც თავისთავად აუცილებელი რესურსია დემონსტრირების მეთოდის სასწავლო პროცესში განსახორციელებლად.

ჩვენ ვხედავთ, რომ მეთოდს უდიდესი როლი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლებისას, თუმცა არსებობს საკითხები, როგორც დ.ლორთქიფანიძე ამბობდა, რომელთა გაუთვალისწინებლობაც მარცხამდე მიიყვანს მოსწავლეს. ჯ.ჰარმერიც საუბრობს ამ დაბრკოლებაზე. არსებობს ფაქტები, როცა ერთ რომელიმე ქვეყანაში შექმნილი მეთოდის პირდაპირი გადატანა ხდება სხვა ქვეყანაში, სადაც სხვა კულტურის მქონე ბავშვები სწავლობენ. ცხადია, მათთვის ეს იქნება საქმის გართულება. უნდა მოხდეს მეთოდის მოდიფიცირება და იმ ქვეყნის კულტურის შესაბამისი აქტივობების მოფიქრება, სადაც ვაპირებთ მის განხორციელებას.

ამრიგად, ზემოთხსენებული ფაქტორების გათვალისწინებითა და მეთოდოლოგიის მრავალფეროვნებით შესაძლებელია სასწავლო პროცესის გახალისება და ინგლისური ენის ეფექტიანი სწავლება.

3. 2. ვიდეო ჩვენების გამოყენებისა და მნიშვნელობის განსაზღვრა საგანმანათლებლო მიზნით

ვიდეო ჩვენების, როგორც ერთ-ერთი მულტიმედია საშუალების გამოყენება ინგლისური ენის სწავლა სწავლების პროცესში, მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარია. მისი საშუალებით სასწავლო პროცესი ხდება ინტერაქციული. შედეგად მოსწავლე პასიური მიმღები არ არის. ჯეინ შერმანის აზრით, მრავალი მიზეზი არსებობს იმისთვის, რომ ვიდეო იყოს საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული. მისი თქმით, ვიდეო ჩვენება, ერთის მხრივ, უბიძგებს მოსწავლეებს აღივსონ განსაკუთრებული გრძნობით, ინტერესითა და მოტივაციით, როცა იციან, რომ ახალ ინფორმაციას მიიღებენ და გაიგებენ რეალური ფაქტების ხილვით. მეორეს მხრივ,

ვიდეოს ყურების დროს მოსწავლეთა თვალი (გრძნობადი ორგანო) მიჯაჭვულია ეკრანს, რაც აუმჯობესებს ცოდნის მიღებისა და დამახსოვრების ხარისხს. იგი ვიდეოს ცოდნის მიღების თანამედროვე საშუალებად მიიჩნევს და დასძენს, რომ ადამიანებს მეტი და უფრო ხშირი წვდომა აქვთ აუდიო-ვიზუალურ საშუალებებთან ვიდრე ბეჭდურ მედიასთან. ბუნებრივია, რომ მეტი ინფორმაციის მიღებაც ზემოთ ხსენებული საშუალებებიდან იქნება შესაძლებელი. აქედან გამომდინარე კი გავიმეორებ ჯეინ შერმანის სიტყვებს: *,,თანამედროვე ვიდეო-ტექნოლოგიები უფრო ახლოსაა და მშობლიურია მოსწავლეებისთვის ვიდრე წიგნების სამყარო".* [J. Sherman; 2003; 13] სწორედ ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას რომ ვიდეოს გამოყენება საგაკვეთილო პროცესში საგრძნობლად გააუმჯობესებს ინგლისური ენის შესწავლას.

ვიდეოს გამოყენების თვალსაზრისით ჯეინ შერმანი რამოდენიმე მიმართულებას გვთავაზობს: 1. ვიდეოს ყურება საკუთარი სიამოვნებისა და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. 2.სასაუბრო ენის გაგების უნარის გაუმჯობესების მიზნით. 3. ვიდეოს გამოყენება როგორც მოდელის. 3. კულტურული მიმართულება. ჩვენი ინტერესის სფერო სწორედ ამ მიმართულებას ეხება.

,,ვიდეო არის ფანჯარა უცხოური კულტურის უკეთ აღქმისათვის. ამ სტრატეგიით მიღებული ინფორმაცია, თუნდაც მოცულობით პატარა, უფრო ფასეული და სასარგებლოა, ვიდრე მასწავლებლის მონათხრობი ან წაკითხული." [J.Sherman; 2003; 2] აცხადებს ჯეინ შერმანი. მისივე თქმით მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ უცხო ქვეყნების კულტურას. გააკეთონ შედარება და გაავლონ პარალელები საკუთარი ქვეყნის კულტურასთან. ვიდეო ჩვენება ჩაანაცვლებს იმ რეალურ სიტუაციებს, რაც ყველაზე ეფექტიანი გზაა უცხო ქვეყნის კულტურის შესასწავლად და რომელიც ბევრისთვის ფუფუნებას წარმოადგენს. ვიდეო ჩვენება საუკეთესო საშუალებაა მოვიტანოთ ინგლისურენოვანი სამყარო მოსწავლემდე საკლასო ოთახში. (J.Sherman; 2003).

რა როლს ასრულებს ვიდეოს საგაკვეთილო პროცესში გამოყენება მოსწავლის ენობრივი კომპეტენციის განვითარებაში და როგორ შეიძლება გცდეს მოსწავლე საკლასო ოთახის საზღვრებს ამ ხერხით მიღებული ცოდნით? ჯ. შრმანის აზრით მოსწავლის სრულყოფილი ენობრივი კომპეტენციის განვითარება მხოლოდ უცხოენაზე

მოლაპარაკე ადამიანთა გარემოცვაშია შესაძლებელი, ეს ფუფუნება კი ბევრ ადამიანს არ გააჩნია. ვიდეოს სასწავლო მეთოდად გამოყენება კი ჩაანაცვლებს მას და უცხოენოვან სამყაროში ვირტუალური მოგზაურობის შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს.(J.Sherman;2003).

უნარი, რომელსაც ვიდეო ჩართულობა განავითარებს მოსმენის უნარის სახელწოდებითაა ცნობილი.(Listening skill). მეტი სიცხადისა და სრულყოფილი გაგებისთვის მოსმენის უნარის განვითარების როლის შესახებ, შევეცდები განვიხილო ჯერემი ჰარმერის მიხედვით. მის ნაშრომში ,,როგორ ვასწავლოთ ინგლისური"- ვკითხულობთ, რომ მოსმენის უნარის განვითარება და ლექსიკური მარაგის დაგროვება, ენობრივი ფუნქციების ათვისება, კომუნიკაციური უნარების განვითარება შესაძლებელია, როგორც საგაკვეთილო პროცესში მოსმენით, (Intensive listening)ასევე კლასგარეშე მოსმენით (Extensive listening). ორივე ტიპის მოსმენა აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გაეცნონ და გაითავისონ საუბრის მანერები, ჩვეულებები, სახის გამომეტყველება რაც გაუადვილებს და გაუუმჯობესებს მათ მეტყველებასა და გამოთქმას.

Extensive listening- წარმოადგენს მოსმენის კლასგარეშე სახეს, როდესაც მოსწავლეები უსმენენ შინ, მანქანაში, ტრანსპორტში მუსიკას, ფილმებს, თუმცა მასწავლებლის რჩევების გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინაიდან, მოსწავლეებს აქვთ თავისუფალი წვდომა ინტერნეტ სივრცისა, შესაძლოა მოხდეს მათ მიერ ვიდეოების არასწორი შერჩევა. ეს ფაქტი კი არათუ სასარგებლო იქნება მათთვის, არამედ სრულიად შესაძლებელია ზიანი მოუტანოს მოზარდებს და მათი მომავალი მეტად დრამატულად განვითარდეს. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი კლასგარეშე მოსასმენი თუ საყურებელი მასალის შერჩევაში. რაც მთავარია, მან შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინგლისური ენის ცოდნის დონე და ურჩიოს ისეთი მასალა, რომ მოსწავლისათვის მისი მოსმენა წარმოადგენდეს ერთგვარ გართობასა და სიამოვნებას (J. Harmer; 2001). როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯეინ შერმანი ვიდეო ჩვენებას რამდენიმე მიმართულებად ჰყოფს. მიმართულება - ვიდეოს გამოყენება საკუთარი სიამოვნებისა და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სწორედ Extensive listening-დროსაა მიზანშეწონილი. ადამიანებს სურთ ინგლისურ ენოვანი

ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მოსმენა, რეკლამების ნახვა საჭირო ინფორმაციის გაგების მიზნით, ან უბრალოდ უყურონ ფილმს გართობის მიზნით. როგორ შეიძლება განავითაროს მასწავლებელმა ეს მიმართულება? ჯეინ შერმანი ამბობს, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ხშირად არის დაკავებული სხვადასხვა სახის ვიდეოს ყურებით. აქედან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია, რომ რომელიმე მათგანი დაინტერესდეს ამ სტრატეგიით და გამოიყენოს იგი სასწავლო მიზნით და გახადოს ვიდეო საშუალებად, რომელიც დაეხმარება მიზნის მიღწევაში. მასწავლებლის როლი კი იმაშია, რომ მან მოსწავლეს უნდა ასწავლოს აუდიო-ვიზუალური მასალის სასწავლო მიზნით შერჩევა. ასევე შეუქმნას გარემო სადაც იგი შეძლებს შეძენილი ინფორმაციის გამოყენებასა და გამოვლენას.(J. Sherman; 2003).

Intensive listening-სასწავლო პროცესის თანმხლები მოსმენის ტიპია, რომელიც მიმდინარეობს კარგად ორგანიზებულ და სისტემატიზირებულ გარემოში. მოსასმენი მასალა შერჩეულია მასწავლებლების მიერ, სასწავლო კურიკულუმის, სახელმძღვანელოში მოცემული მასალის, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურების, მათი წინარე ცოდნის, შესაძლებლობების, ინტერესთა სფეროს და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების გათვალისწინებით. ბუნებრივია, რომ ამ სტრატეგიის სისრულეში მოსაყვანად აუცილებლობას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება. ჰარმერი გვამცნობს, რომ მასწავლებლები იყენებენ თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიას მოსმენის უნარის გასავითარებლად და ამავდრულად საუბრობს მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, თუმცა იმდენად დიდი როლი აქვს თანამედროვე ტექნოლოგიას მოზარდის განვითარების საქმეში, რომ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გადალახოს ეს არცთუ ისე რთულად გადასალახი სიძნელე, რაც წარმოდგენილია მის უარყოფით თვისებებში.

3.2.1.ვიდეოჩვენების უარყოფითი მხარეები

ჰარმერი უარყოფით კონტექსტში თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებისას ყურადღებას ამახვილებს მის ტექნიკურ მხარეზე. მაგალითად, ხელის შემშლელი ფაქტორი შესაძლებელია იყოს მისი მოულოდნელი მწყობრიდან გამოსვლა, ჩანაწერი

იყოს ისეთი ცუდი ხარისხის რომ შეუძლებელი იყოს მოსმენა, იყოს ცუდი აკუსტიკა, იყოს საჭირო ჩანაწერის რამდენიმეჯერ მოსმენა და ა.შ, თუმცა იქვე გვთავაზობს ხსენებული პრობლემების გადასაჭრელ გზებს. ჩემი აზრით, ჰარმერის მიერ ხსენებულ პრობლემათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც შეიძლება აუდიო თუ ვიდეოს მოსმენას ჰქონდეს არის ის, რომ მოსწავლეებს არ ეძლევათ მოსაუბრესთან ინტერაქციის შესაძლებლობა. მართალია ჰარმერი ყურადღებას ამახვილებს ვიდეო ჩვენების უარყოფით მხარეებზე, თუმცა იმდენად დიდია მისი სასწავლო ღირებულება, რომ ვფიქრობ, ჩამოთვლილი უარყოფითი გარემოებები მისი მოხმარებისას გასათვალისწინებელი რჩევებია.

3.2.2.ვიდეოჩვენების დადებითი მხარეები

ჯ. ჰარმერის თქმით, აუდიო თუ ვიდეო მასალა მოსწავლეებს აძლევს საშუალებას მოისმინონ სხვადასხვა და რეალური ხმები, ,,შეხვდნენ'' სხვადასხვა პერსონაჟებს. განუვითარდეთ მოსმენის, მეტყველების უნარი, ადვილად და მოკლე დროში შეძლონ მაქსიმალური ინფორმაციის მიღება და აღქმა. იგივე მოსაზრება გააჩნია ჯეინ შერმანსაც ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი ვიდეოს გამოყენების მეორე მიმართულებაში აღწერს თუ როგორ შეიძლება საგაკვეთილო პროცესში მივცეთ მოსწავლეებს საშუალება მოისმინონ სხვადასხვა ხმები ყველანაირ სიტუაციაში. იგი დასძენს, რომ ერთ-ერთი უპირობო უპირატესობა ვიდეო ჩვენებისა ის გახლავთ, რომ მას გააჩნია ვიზუალური მხარე, რომელიც დიალოგებისა თუ სხვა ნებისმიერი მასალის პრაგმატულ გაგებას უწყობს ხელს. მაგალითად ფილმის ჩვენებისას მოსწავლე ადვილად გამოიცნოს ჟანრს ან ზუსტად მიხვდება მოცემული ფილმის ჯანრის არსს. ჯეინ შერმანის მიერ ხსენებული მიმართულება, **ენა როგორც მოდელი** ძალიან მნიშვნელოვანია ენაში არსებული ტერმინების, სლენგების, ფრაზებისა თუ სხვა სიახლეების ადვილად აღსაქმელად. შერმანის შემდეგი მიმართულება ეხება **ვიდეოს როგორც სტიმულის** მიმცემს შესწავლილი ენის(მასალის)პროდუცირებისათვის. აქედან გამომდინარე ვიდეო შესაძლებელია გამოვიყენოთ დისკუსიის წყაროდ, ასევე თემებისა და პროექტების შექმნის წინაპირობადაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **მიმართულება-ვიდეო ჩვენება**, უცხო ქვეყნების კულტურის უკეთ გსაცნობად შერმანს ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მიაჩნია. საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენებით მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ინფორმაცია უცხო ქვეყნის კულტურის შესახებ, რომელსაც მიიღებენ სახელმძღვანელოდან, თუ სხვა ბეჭდური მედიიდან, გაამრავალფერონ და უფრო პროდუქტიული ელფერი შესძინონ მას. მოსწავლეები რეალურ სიტუაციებში ნახავენ ადამიანების ყოფა-ცხოვრებას, ქცევებს, დამოკიდებულებას, ჩვეულებებსა თუ ტრადიციებს. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია მასწავლებელმა მისცეს მოსწავლეებს კულტურული პროდუქტის ნახვის საშუალება, როგორიცაა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. ჯეინ შერმანის ღრმა რწმენით მოსწავლეებს, ვიდეოს გამოყენებით, მიეცემათ საშუალება არა მარტო გაეცნონ უცხო ქვეყნის კულტურას, არამედ შედარება გააკეთონ საკუთარი ქვეყნის კულტურასთან და გაავლონ პარალელები. (J. Sherman;2003).

ჰარმერის აზრით კი დიდი უპირატესობა Intensive listening"-ისა(სასწავლო პროცესში მოსმენა) არის ის , რომ საფრთხე რომელიც მოსწავლეებს ემუქრებათ Extensive listening-ის დროს, რაც მდგომარეობს მოსასმენი მასალის არასწორ შერჩევაში, ამ შემთხვევაში აღმოფხვრილია, რადგან სკოლა და საგაკვეთილო პროცესი სწორედაც არის ის ადგილი, სადაც ვიდეო მასალას შეარჩევენ დიდი სიფრთხილით, გათვალისწინებული იქნება ასაკთან შესაბამისობა და მოსწავლეების ინტერესთა სფერო, ამავდროულად იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში.

ჰარმერის აზრით, მოსმენის სარგებლიანობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობების მიზანშეწონილობა და მოსწავლეებისათვის იმ უნარების განვითარებისთვის ხელშეწყობა, რაც გაზრდის აუდიო თუ ვიდეო მასალის მოსმენის თუ ყურების სარგებლიანობას. მასწავლებლის კომპეტენციაზეა დამოკიდებული, რა დროს მისცეს მოსწავლეს ორჯერ ან მეტჯერ მოსმენის ან ყურების საშუალება ან გამოუმუშაოს მას მინიმალური მოსმენით მაქსიმალური ინფორმაციის მიღების უნარი. არანაკლებ მნიშვნელოვანია განისაზღვროს გაკვეთილის რომელი ეტაპისთვისაა მიზანშეწონილი მასწავლებლის მიერ მომზადებული მოსასმენი მასალა. (Pre,While,Post). ამავდროულად

გასათვალისწინებელია, რომ რესურსი არ იყოს მოსწავლისთვის მოსაბეზრებელი და არ დაიკარგოს დრო უსარგებლო მოსმენასა და ყურებაში. ჰარმერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსმენისას Lead-in აქტივობას. ამ სტრატეგიის გამოყენების დროს ხდება მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა და ყურადღების ფოკუსირება საყურებელ ვიდეოზე. მოსწავლის მიერ წარმატებული მოსმენა დიდადაა დამოკიდებული მის მიერ განხორციელებულ Pre აქტივობაზე. ამ ეტაპზე ხდება მოსწავლის უნარებისა და წინარე ცოდნის გააქტიურება, რაც ხელს უწყობს მოსასმენი მასალის უკეთ გაგებასა და აღქმას.

ჰარმერის აზრით ბევრი მიზეზი არსებობს იმისთვის, რომ მოსწავლეს ვუბიძგოთ მოსმენის დროს ასევე უყუროს სხვადასხვა ვიდეოსა თუ ფილმს. ერთის მხრივ მათ ექნებათ შესაძლებლობა თვალი ადევნონ ენის რეალურ გამოყენებას; ეზიარონ ვერბალურ და ამავდროულად, არავერბალურ კომუნიკაციის ელემენტებს. ცნობილი ფაქტია, რომ ინგლისური ენის შესწავლისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არავერბალურ კომუნიკაციას, როგორებიცაა: სახის გამომეტყველება, ჟესტიკულაცია, სხეულის ენა, მზერა, შეხება და პარალინგვისტური ქცევები. ვიდეო ჩვენებისას კი მოსწავლეები უყურებენ თუ როგორი შეხამება და შერწყმა ხდება ინტონაციისა და სახის გამომეტყველების; რა ჟესტიკულაციაა საჭირო გარკვეულ ფრაზებთან. მაგალითად მხრების აჩეჩვა როცა ვამბობთ , რომ რაღაც არ ვიცით.

ქცევის დაუწერელი კანონების აღქმა და გათავისება უფრო ეფექტურია სოციალურ და საქმიან გარემოში, რისი ჩანაცვლებაც ვიდეო ჩვენებით არის შესაძლებელი.

ვიდეო ჩვენებისას მოსწავლეები ასევე ეზიარებიან მულტი-კულტურულ წეს-ჩვეულებებს, რაც აამაღლებს მათ კულტურულ ცნობიერებას.

ვიდეო ჩვენების ხანგრძლივობა, თანმიმდევრობა, შინაარსი დამოკიდებულია საგაკვეთილო მოთხოვნას, შინაარსსა და გაკვეთილის გეგმაზე.

ჰარმაერი, ვიდეო ჩვენების აქტივობების განსახორციელებელ სტრატეგიებს გვთავაზობს. ყველა სტრატეგია მიმართულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გასაზრდელად პროგნოზირების ხერხის გამოყენებით.

1. Fast forward-მასწავლებელი ღილაკზე თითის დაჭერით აჩქარებს ვიდეოს თანმიმდევრობას. ვიდეო სრულდება უფრო ადრე ვიდრე მას რეალურად სჭირდება. მოსმენისა და ყურების დასრულებისთანავე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს

გამოთქვან მოსაზრება თუ რა იყო ნანახი ვიდეოს მთავარი აზრი(gist). მოსწავლეები ასევე ვარაუდობენ პერსონაჟების საუბარს. დისკუსიის შემდეგ მათ აქვთ შესაძლებლობა კვლავ მოისმინონ ჩვეული სიჩქარით.

2. Silent viewing(for language or for music)-მასწავლებელი რთავს ვიდეოს ჩვეულებრივი სიჩქარით, მაგრამ გამორთულია ხმა. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს პერსონაჟების საუბრის შინაარსის ან მუსიკის შესახებ. დისკუსიის დამთავრებისთანავე ისინი კვლავ უყურებენ ვიდეოს მათი ვარაუდის სისწორის გადამოწმების თვალსაზრისისთ.

3.Freezing frame-მასწავლებელი აჩერებს კადრს და სთხოვს მოსწავლეებს ივარაუდონ რა შეიძლება მოხდეს ან რა შეიძლება თქვას პერსონაჟმა გაჩერებული კადრის ჩართვის შემდეგ.

4. Partial viewing-ეს ხერხი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაღვივებისთვის. მასწავლებელი ფარავს ეკრანის გარკვეულ ნაწილებს ისე რომ ჩანდეს რომელიმე მხარე. მოსწავლეები ხედავენ არა მთლიან ეკრანს, არამედ ნაწილობრივ. ასევე, შესაძლებელია დაფარული ნაწილების შეცვლა. მასწავლებელი ასევე იყენებს დიდ გამყოფს (divider). იგი ათავსებს გამყოფს ეკრანის შუაში ისე, რომ კლასის ერთი ნაწილი ხედავს ერთ მხარეს, ხოლო მეორე ნაწილი ხედავს მეორე მხარეს. ვიდეოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს მოსმენილსა და გაგონილ ინფორმაციას (J.Harmer; 2007).

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ჯიმ სკრივენერის მოსაზრება. იგი საკლასო ოთახში ვიდეოს გამოყენების სამ ეტაპს აღწერს და მათ სწორად განხორციელებას უდიდეს როლს ანიჭებს. პირველ ეტაპად იგი ასახელებს ვიდეო ჩვენებამდე განსახორციელებელ აქტივობას: ,,Preview''. ,,Viewing'', გულისხმობს ვიდეო ჩვენების დროს გასაკეთებელ აქტივობას. მესამე ეტაპის პრეროგატივაა განსაზღვროს ,,Follow up''-აქტივობები, რომელიც გულისხმობს ვიდეოს ყურების შემდგომ განსახორციელებელ სავარჯიშოებს. (J.Scrivener). ამრიგად, ვიდეოს გამოყენება ნამდვილად ითვლება მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევათა განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად.

3.3.ვიდეო ჩვენების საგანმანათლებლო სისტემაში გამოყენების ისტორია

თვალსაჩინოების პრინციპის სასწავლო პროცესში განსახორციელებლად, დემონსტრირების მეთოდია მიჩნეული. დემონსტრირების მეთოდის გამოყენება მოითხოვს გარკვეულ ტექნიკურ საშუალებებს. საგანმანათლებლო სისტემა სასწავლო პროცესში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს იყენებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ისტორიულ ცნობებს ვგებულობთ დ. ლორთქიანიძის სახელმძღვანელოში ,,დიდაქტიკა", სადაც ცხადი ხდება მისი გამოყენების არსებობა და დიდი მნიშვნელობა გასულ საუკუნეში. სასწავლო პროცესში ხშირად გამოიყენებოდა აუდიოვიზუალური საშუალებები, როგორიცაა: კინოფილმი, ტელეფილმი, დიაფილმი, დიაპოზიტივი. ისინი გამოიყენებოდა სასწავლო დიდაქტიკური მიმართულებით. ეს ტექნიკური საშუალებები სპეციალურად იყო შერჩეული, მოსწავლეთა ასაკის, საგნისა და სხვა პედაგოგიური მიზნების გათვალისწინებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტექნიკურ საშუალებებს არამხოლოდ შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციაც ეკისრებოდა.(დ.ლორთქიფანიძე; 1983).

ლ. გეგეჭკორის ცნობით, როდესაც საფრანგეთში ჩამოყალიბდა აუდიო-ვიზუალური სწავლების მეთოდი, დიაფილმებს არ ჰქონდა სწავლების პრდაპირი მიზანი, მაგრამ იგი წარმოადგენდა ენობრივი მასალის შესწავლის დამატებით ილუსტრაციას და უფრო საინტერესოს და ცოცხალს ხდიდა სწავლების პროცესს. აუდიო-ვიზუალური სწავლების მეთოდი ეფუძნებოდა, მაგნოტოფონისა და დიაპროექტორის სისტემატური გამოყენების პრინციპს. (ლ.გეგეჭკორი; 1981)

როგორც ვხედავთ, ვიდეოს გამოყენების აუცილებლობა არსებობდა მოსწავლეთა განვითარებისა და სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად და გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ 21-ე საუკუნეში, ტექნიკის განვითარების ეპოქაში, მისი დიდმნიშვნელოვნობა გაზრდილიყო.

3.4.საქართველოში არსებული მდგომარეობა ვიდეოს საგანმანათლებლო სისტემაში გამოყენების თვალსაზრისით

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გარეშე წარმოუდგენელია პროგრესი ნებისმიერ სფეროში. ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მათი ჩართვა მსოფლიო სივრცეში ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტადაა მიჩნეული. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყოს, როგორც დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი მოქალაქის, ამასთანავე თანამედროვე შესაძლებლობებითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნების აღზრდას. ამიტომაც, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ მიხედვით ასკვნის, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი (საქართველოს მთავრობის დადგენილება.#84. 2004 წლის 8 ოქტომბერი) ეროვნული სასწავლო გეგმა კი გვთავაზობს მე-3 მუხლის ,,გ'' პუნქტით- *,,ციფრულ წიგნიერება"-ს* როგორც ერთ-ერთ გამჭოლ კომპეტენციას. (ესგ.თავი VIII. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის ბრძანება №40/ნ - ვებგვერდი, 24.05.2016წ.

ესგ ასევე გვთავაზობს, ამავე კომპეტენციის განსავითარებელ საგნობრივ ჯგუფს ,,ტექნოლოგიები"(ისტ)(http://ncp.ge/ge/curriculum/competencies/digital-literacy).

უნდა ითქვას, რომ ამ საგნობრივმა ჯგუფმა დიდი ინტერესი გამოიწვია ბავშვების მხრიდან და საგაკვეთილო პროცესებიც წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექნიკური უნარ-ჩვევების ფლობა და მათი განვითარება სხვა საგნების საგაკვეთილო პროცესის განუყოფელ ნაწილად იქცეს. აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნა მკაფიოდაა წარმოდგენილი ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ვიდეო ჩვენების, როგორც ერთ-ერთი ციფრული ტექნოლოგიის გამოყენება ინგლისური ენის სწავლა სწავლების პროცესში სწორედ ამ მოთხოვნას პასუხობს.

3.5.მულტიმედია საშუალებების საგანმანათლებლო მიზნით გამოყენების გამოცდილება საზღვარგარეთ

მულტიმედია საშუალების საგანმანათლებლო მიზნით გამოყენების საკითხი, აქტუალური გახდა 21-ე საუკუნის განმანათლებელების დღის წესრიგში და იგი, საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს, სხვა საგანმანათლებლო საშუალებათა შორის. ამ თვალსაზრისით, საინტერესო იქნებოდა გავცნობოდი მულტიმედია საშუალების გამოყენების ფაქტებსა და მნიშვნელობას სხვა ქვეყნებში.

როგორც უკვე აღვნიშნე, ვიდეო ჩვენება არის ერთ-ერთი მულტიმედია საშუალების ინსტრუმენტი. მართალია, სხვადასხვა ვიდეოს მოპოვება არც ისე რთულია თანამედროვე ტექნოლოგიის არსებობის პირობებში, თუმცა არანაკლებ ხელსაყრელი იქნებოდა თუ იგი მზა სახით მიეცემოდა მასწავლებლებს. ეს ფაქტი ნამდვილად გააადვილებდა სწავლების დაგეგმვასა და პროცესს. ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია, სწორედ ამ საკითხს ეხება. დიდ ბრიტანეთში მოქმედი ასოციაცია, რომელიც BBC Learning English-ის სახელწოდებითაა ცნობილი, მსოფლიოს სთავაზობს სახელმძღვანელოს: ''Speak out".(Pearson longman.Frances Eales,Steve Oakes.BBC.Speak out.) იგი 6 დონისაგან შედგება. მოცავს კითხვის, მოსმენის, ლაპარაკისა და წერის უნარ-ჩვევათა განმავითარებელ გაკვეთილებს. თითოეული გაკვეთილი სხვადასხვა ტექსტებთან და სავარჯიშოებთან ერთად მოიცავს, როგორც აუდიო ისე ვიდეო რესურსს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოს ავთენტური ვიდეოებით ამარაგებს BBC Learning English. ავთენტური ვიდეოები კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა რეალურ სიტუაციაში ვირტუალურ მოგზაურობასა და პირიქით, რეალური სამყაროს საკლასო ოთახში შემოტანას. ეს ხერხი კი უადვილებს მოსწავლეს განავითაროს სხვადასხვა უნარები და მიიღოს ცოდნა ეფექტურად.

(https://www.pearson.com/english/catalogue/general-english/speakout/second-edition.html)

მულტიმედიის ერთ-ერთ სახეს, ვიდეოს გამოყენებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნიუ იორკის ,,ახალი სკოლის" ასოცირებული პროფესორი და მასწავლებელთა განვითარების ინსტიტუტის დირექტორი სკოტ სორნბერი. იგი მიიჩნევს, რომ ვიდეო

არის საშუალება, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს შესასწავლი მასალა სწარფად აღიქვან და დაიმახსოვრონ. იგი, ვიდეოს უმეტესად იყენებს მოსმენის უნარის განსავითარებლად, როგორც დამწყებ ასევე მაღალი დონის მოსწავლეთათვის, რადგან მიიჩნევს, რომ ვიზუალური მხარე ყველა ასაკისთვის და დონისთვის შეიძლება იყოს მიმზიდველი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგი ინგლისური ენის შემსწავლელ მოსწავლეებს უბიძგებს უყურონ ვიდეოს, არამარტო სასწავლო გარემოში, არამედ გართობის მიზნითაც, რომელსაც ექნება შემეცნებითი დატვირთავა. ამ თვალსაზრისით, იგი, დიდ როლს ანიჭებს მასწავლებელს, რომელიც უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ვიდეოს არჩევაში. (http://www.onestopenglish.com/methodology/teaching-tips/ask-the-experts/methodology-questions/methodology-using-video-in-english-teaching/146399.article)

მაშასადამე, მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი განვითარებული ქვეყანა, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, აქტიურად იყენებს მულტიმედია საშუალებას საგანმანათლებლო სისტემაში, როგორც ერთ-ერთ ინსტრუმენტს თანამედროვე ადამიანის გასავითარებლად.

3.6.ინტერაქტიული ვიდეოს რაობა და მისი მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

ინტერაქტიული ვიდეო არის ციფრული ვიდეო ჩვენების ერთ-ერთი უახლესი სახეობა. მათი ჩვენება შესაძლებელია ჩვეულებრივი ვიდეოს მსგავსად, განსხვავება იმაშია, რომ იგი ჩვენებისას ჩერდება სპაციალურად ჩასმული ,,hotspots”-ების საშუალებით და ჩვენ მიერ ჩასმული, სხვა ვიდეო, სურათი, შეკითხვა და სხვადასხვა სახის სავარჯიშოები ჩნდება. სხვა ვიდეოსა და სურათის ჩამატებით შესაძლებელია მოსწავლეთა ცნობიერების გაზრდა, ნაჩვენებ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო შეკითხვებითა და სხვა სახის სავარჯიშოებით-მოსწავლეთა ცოდნისა და ვიდეოს აღქმის ეფექტიანობისა და ხარისხის დადგენა. სავარჯიშოები შედგება ისეთი სახეობებისგან, როგორიცაა:’’Multiple choice”,’’True or False”, “Fill in the blanks”, “Single Chioce Set”, “Free Text Question”, “Navigation Hopspot’’, “Drag text”, “Mark the Words”, “Drag and Drop’’, “Lebel” , “Text”, “Table”, “Link’’. ინტერაქტიული ვიდეოს შესაქმნელად, გამოიყენება

ვიდეოები, რომლების გადმოწარაც შესაძლებელია YouTube-დან. მას შემდეგ, რაც აირჩევ ვიდეოს, ელექტრონული პროგრამა საშუალებას გაძლევს აირჩიო ნებისმიერი სავარჯიშოს ტიპი და შექმნა ინტერაქტიული ვიდეო. ერთ-ერთ ელექტრონულ წყაროში ვკითხულობთ, რომ ინტერაქტიული ვიდეო, ეხმარება მასწავლებლებს შექმნას აქტიური სასწავლო გარემო კლასში, სადაც მოსწავლეები, ნაცვლად პასიური ყურებისა აქტიურად ჩაერთვებიან. მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, ერთდროულად უყურონ და შეამოწმონ საკუთარი გაგების უნარი და ხარისხი. ვიდეოში ჩასმული სხვადასხვა სტრატეგიები, როგორიცაა კითხვები, პრობლემის დასმა და დისკუსია, სურათების ჩართვა და სავარჯიშოები, წაახალისებს მოსწავლეებს უფრო ღრმად დაკავდნენ ვიდეო ჩვენებით. ინტერაქტიული ვიდეო ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი, რომლის პოპულარობაც ყოველდღიურად იზრდება. მის ეფექტურობას ზრდის, მისი ორმაგი ღირებულება, რაც გამოიხატება, როგორც ვიდეო ჩვენებაში, ასევე მასში ჩართულ ინტერაქციულ აქტივობებში, რაც თავისთავად ზრდის ინფორმაციის აღქმა-დამახსოვრების ხარისხსა და ეფექტურობას. (https://www.wyzowl.com/what-is-interactive-video/).

მეთიუ მურეი ინტერაქტიული ვიდეოს ოთხ სასარგებლო თვისებას გვაცნობს. **1-წვდომა**. ინტერაქტიული ვიდეოების მოსასმენად საკმარისია მცირე თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობაც კი. მაგალითად, როგორიცაა: პლანშეტი, ლეპტოპი და მობილური ტელეფონებიც კი. Wi-Fi და ქსელური წვდომა სრულებით საკმარისია ვიდეოების მისაღებად და აქტივობის განსახორციელებლად. **2. პერსონიფიცირება.** ინტერაქტიული ვიდეო მორგებულია ინდივიდუალურ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და ინტერესებზე. ასევე, მოსწავლეს შეუძლია მისი საჭიროებისა და სურვილისამებრ მართოს ერთი კონკრეტული ვიდეო. მაგალითად გააჩეროს, უკან დააბრუნოს ინფორმაციის უფრო სიღრმისეულად გაგების მიზნით. **3. ჩართულობა.** ინტერაქტიული ვიდეოს აქვს ისეთი ჯადოსნური მიჯაჭულობის ძალა, რომ თითოეული მოსწავლე ჩართულია. თანამედროვე ეპოქაში, როცა ასე მოუცლელია სამყარო, რთულია დააკავო ადამიანი იმ საქმიანობით, რაც არ იწვევს ინტერესს, ნელია და პასიური. ვიდეოს მართვითი მიდგომები ახალისებს მოსწავლეს შეაგროვოს და მიიღოს ცოდნა, რომელიც მიმობნეულია ვირტუალურ სამყაროში. **4. სწრაფი და მოქნილი.** ინტერაქტიული ვიდეო მრავალმხრივი გამოყენებით

გამოირჩევა. იგი შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც დისტანციური სწავლებისას, ასევე საკლასო ოთახში. ვიდეო შეიძლება შეიცავდეს მოკლე სიმულაციებს ან მასში წარმოდგენილი იყოს სრული წარმოდგენები. ვიდეო შესაძლოა იყოს საგულდაგულოდ დამუშავებული ან სპონტანურად მაგრამ მიზნობრივად გამოყენებული. მის დასამუშავებლად კი გამოყენებულია ისეთი პროცედურები, რომ საკმაოდ მცირე დროშია შესაძლებელი მაქსიმალურად სრულყოფილი ინტერაქტიული ვიდეოს შექმნა. (https://trainingindustry.com/magazine/july-aug-2017/four-benefits-of-interactive-video-for-learning/)

როდის გამოვიყენოთ ინტერაქტიული ვიდეო? ინტერაქციული ვიდეოს გამოყენება უმჯობესია, როცა გვაქვს რომელიმე კონკრეტული ვიდეო და გვსურს მისი გამდიდრება ინტერაქტიული ელემენტებით. მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა განსხვავებულობა შესძინოს სწავლებას, სიღრმისეული ინფორმაციის გაგების მიზნით ჩამატებული სტრატეგიებით. რისი საბაზისო ცოდნაა აუცილებელი ინტერაქტიული ვიდეოს გამოყენებისთვის? მთავარია, მომხმარებელმა იცოდეს სამი ძირითადი საფეხურის განხორციელება: ვიდეოს გადმოწერა, ინტერაქციისა და დასკვნის ჩარჩოს ჩამატება. (https://h5p.org/tutorial-interactive-video) რა უპირატესობა გააჩნია ინტერაქტიულ ვიდეოს ტრადიციულ ვიდეოსთან შედარებით? ტრადიციული ვიდეო, როგორც მას უწოდებენ linear video, შეზღუდული ფუნქციის მქონეა. იგი მხოლოდ ყურების საშუალებას იძლევა. მოსწავლეს არ შეუძლია ინტერაქცია. ინტერაქციული ვიდეოს ყურებისას კი მოსწავლე მოჯაჭვულია ეკრანს და ცდილობს სრულიად იყოს ჩართული, არ გამორჩეს ღირებული ინფორმაცია, რომელიც ინტერაქციისას აუცილებლობას წარმოადგენს. (https://www.wyzowl.com/what-is-interactive-video/)

3.7.Quizizz.com-ის რაობა და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

Quizizz.com არის გვერდი, რომლის გამოყენებით შესაძლებელია შეიქმნას მულტიმედია საშუალების ერთ-ერთი ინსტრუმენტი-Quiz. იგი, წარმოადგენს გარკვეული სახის კითხვარს, რომელსაც მასწავლებელი იყენებს, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შფასების დროს. Quiz-ი არსებობს მზა სახით.

მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი თემა, როგორც გრამატიკული ასევე ლექსიკური, ლიტერატურული, ისტორიული და მრავალი სხვა. ამ სახის კითხვარი, მრავალფეროვანია და დროის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა. ასევე, მასწავლებელს შეუძლია მისთვის სასურველი კითხვარის შდგენა. რა დადებითი თვისებები გააჩნია Quiz-ს და რა სარგებლობა შუძლია მოუტანოს მას მოსწავლეებს და მასწავლებელს? როგორც უკვე აღვნიშნე, იგი გამოიყენება შეფასების სტრატეგიად, ცნობილი ფაქტია, რომ გამოცდისას მოსწავლეები ითრგუნებიან, შედეგად კი სრულიად შსაძლებელია მივიღოთ დაბალი შეფასება. ამ სახის გამოცდისას კი მოსწავლეები არიან ხალისიანები, იგი არ ასოცირდება გამოცდასთან და თავისუფალ გარემოში ასრულებენ შეთავაზებულ დავალებას. შესაბამისად, შეცდომებსაც ნაკლებს უშვებენ. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დავალების შესრულების შემდეგ, შეცდომის დაშვების შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა ეს შცდომები იხილონ, დააკვირდნენ, გააანალიზონ და ისევ სცადონ. ამ ხერხით ხდება გამოცდილებით სწავლება და შეცდომის დაშვების ალბათობაც იკლებს. როგორც ვხედავთ, ეს ინსტრუნემტი საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია და მასწავლებელს მისი გამოყენება, საჭიროებისა და სურვილისამებრ შეუძლია. მოქნილია ასევე, მისი გამოყენების არეალი. იგი მოსახერხებელია, როგორც საკლასო ოთახში, ასევე შესაძლებელია მისი ელექტრონული ვერსიით მიწოდება მოსწავლეთათვის.

(https://quizizz.zendesk.com/hc/en-us/articles/203610052-What-is-Quizizz)

მაშასადამე, მულტიმედიის ეს ინსტრუმენტი არის სახალისო, საინტერესო, მოქნილი და ამავდროულად ცოდნის მომცემი და განსამტკიცებელი საშუალება.

3.8.Prezi.com-ის რაობა და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

Prezi არის ელექტრონული საპრეზენტაციო პროგრამა. ის განსხვავდება ტრადიციული საპრეზენტაციო პროგრამისგან, როგორიცაა Power Point-ი. განსხვავება, ერთის მხრივ, იმაშია, რომ მას არ სჭირდება ცალ-ცალკე ფანჯრები, არამედ მოცემულია ერთი ფანჯარა, სადაც განთავსებულია ინფორმაციული ნიშნულები. სასურველი კადრის სანახავად მისი მოწევა ან გაწევაა შესაძლებელი, რაც მას მეტად თვალსაჩინოს

და მოქნილს ხდის. Prezi-ს გამოყენების არეალიც იზრდება. საინტერესოა, რამდენიმე მისი მომხმარებლის მოსაზრებები ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებით. ქუესტო სეტლი, რომელმაც უკვე გამოიყენა Prezi, მის გამოყენებამდე გვირჩევს, გავეცნოთ მის უპირატესობებსა და არახელსაყრელ პირობებს. ერთ-ერთ მის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მისი გამოყენება ავითარებს თანამშრომლობით უნარს. როგორ ხდება ეს? Prezi -ში მუშაობა შეუძლია რამდენიმე ადამიანს, რომლებიც გადაინაწილებენ შესწავლილ მასალას საპრეზენტაციოდ. მაშასადამე, აქ მუშაობა შეუძლია ჯგუფებსაც, რომლებიც, ასევე იმუშავებენ ერთ სივრცეში, მაგრამ სხვადასხვა თემით და სხვადასხვა ჯგუფში. პრეზენტაციისას კი მოსწავლეები წარსდგებიან ერთი სივრცის გამოყენებით. მასალის ნახვა შეუძლია ყველას ვისაც კი წვდომა ექნება ინტერნეტთან.

უარყოფით მხარედ სეტლი გვისახელებს მისი გამოყენების დეტალების არ ცოდნას. დეტალების არ ცოდნამ შესაძლოა, გამოიწვიოს დისკომფორტი წარდგენისას ან მაყურებლის მხრიდან ყურებისას, რაც შესაძლოა კადრის მოწევის ან გაწევის დროს შეიქმნას.

(https://www.nactateachers.org/images/Dec11_2_Using_Prezi_in_the_Classroom.pdf)

მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, Prezi მიჩნეულია, როგორც საუკეთესო ტექნოლოგიური სიახლე, რომელიც არის საინტერესო, მრავალფეროვანი, მოქნილი და თანამშრომლობითი სწავლების ხელშემწყობი ინსტრუმენტი. მისი გამოყენება საგანმანათლებლო სისტემაში ინერგება და დღითი დღე იზრდება.

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომელიც გამოყენებით კვლევათა რიცხვს მიეკუთვნება, ახალი თეორიებისა და ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში დანერგვის საშუალებას იძლევა. ახალი მეთოდის სასწავლო პროცეში დანერგვით შესაძლებელია, როგორც საგაკვეთილო პროცესის, ასევე მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და მასწავლებლის პროფესიონალიზმის გაუმჯობესება. როგორც შესავალში აღინიშნა, პრაქტიკაზე დაკვირვებით, ანალიზით და მისი გაუმჯობესების მიზნით მოხდა საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება. სხვა მნიშვნელოვან საკითხთაგან გამოვყავით ჩვენთვის პრიორიტეტული და მტკივნეული მიმართულება, ,,კულტურათა დიალოგი" და გადავწყვიტეთ, ჩვენი კვლევის ფარგლებში, გაკვეთილებზე ჩარევით გაუმჯობესებულიყო მოსწავლეთა მიერ სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლა, რაც თავისთავად ხელშემწყობი ფაქტორი იქნებოდა მათი ინტერკულტურული კომპეტენციის გაზრდისა. ამ მიზნის მისაღწევ მეთოდად კი გამოვიყენეთ თანამედროვე ტექნოლოგიის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, კერძოდ ვიდეო ჩვენება, ინტერაქტიული ვიდეო, Quiz.com, Prezi.com.

კვლევის დაწყებამდე, განსაზღვრულ იქნა კვლევის **შეზღუდვა.** ეს შეიძლება ყოფილიყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა მხრიდან მოტივაციის არ ქონა. ამ ფაქტის აღმოსაფხვრელად მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან საკვლევი საკითხის შესახებ არაფორმალური გასაუბრებით მოხდა მათი დაინტერესება. მიზანი მიღწეულ იქნა, თუმცა არსებობდა კიდევ ერთი შეზღუდვა: თვისებრივი კვლევა არ იძლევა განზოგადების საშუალებას სასურველ პოპულაციაზე.

კვლევის დაწყებამდე განსასაზღვრავ საკითხთა რიცხვს, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მიეკუთვნება კვლევის **მეთოდოლოგია**. იგი უზრუნველჰყოფს კვლევის შედეგების სანდოობასა და მიზანთან შესაბამისობას. ჩვენი კვლევის ფარგლებში გადაწყდა ჩაგვეტარებინა, როგორც **თვისებრივი,** ასევე **რაოდენობრივი** კვლევა. ამდენად, კვლევის ჩატარება დაიგეგმა შემდეგი თანმიმდევრობით: 1.ფოკუს

ჯგუფი მასწავლებლებთან. 2. მოსწავლეთა გამოკითხვა. 3. საგაკვეთილო პროცესში ჩარევა.

1.ფოკუს ჯგუფი

მიზანი-მასწავლებლების მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების გაგება საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით.

ფოკუს ჯგუფი ფოკუსირებულია კონკრეტულ საკითხზე. იგი ჯგუფური ინტერვიუს სახეა, სადაც მონაწილეები ურთიერთქმედებენ და საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის მოგროვებაა შესაძლებელი. ფოკუს ჯგუფი საუკეთესო საშუალებაა კვლევის შემდგომი ეტაპის წარმატებით განხორციელებისთვის. გამოკითხვის ჩატარებისას ჯგუფური ინტერვიუს დროს წამოჭრილი მოსაზრებები დაგვეხმარა კითხვების შედგენაში. მოპოვებულმა ინფორმაციამ კი, ასევე, ხელი შეგვიწყო გაკვეთილების სრულფასოვან დაგეგმვაში. ფოკუს ჯგუფში გამოვიყენეთ წინასწარ შემუშავებული 5 კითხვა: 1) სასწავლო მიმართულებაში ,,კულტურათა დიალოგი" მოცემული სოციოკულტურული ტექსტების ეფექტიანი შესწავლის მიზნით რა სასწავლო სტრატეგიებს იყენებთ? 2) რა სირთულეებს აწყდებით მიმართულების -,,კულტურათა დიალოგი" სწავლებისას? 3) იყენებთ თუ არა ვიდეო ჩვენებას, ინტერაქტიულ ვიდეოს, Quiz.com-სა და Prezi.com-ს სოციო კულტურული ტექსტების შესწავლისთვის? 4) რა დაბრკოლებები არსებობს მულტიმედია საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით? 5) მულტიმედია საშუალებების გამოყენება გაუადვილებს სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლას.

შეხვედრის ხანგრძლივობა იყო 1 საათი.

სამიზნე ჯგუფის შერჩევისას გამოვიყენეთ შერჩევის მიზნობრივი სახე, რადგან მისივე მახასიათებლებიდან გამომდინარე, ამ სახის შერჩევის დროს ვირჩევთ იმ პირებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ საკვლევ პრობლემასთან.

ამრიგად, **ფოკუს ჯგუფის** სამიზნე ჯგუფად შეირჩა საბაზო საფეხურის მე-9 კლასის მასწავლებლები, რადგან სწორედ მათგან შემეძლო საჭირო ინფორმაციის მიღება. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა ოთხი მასწავლებელი: თეა ბრაგვაძე, თამარ ცარციძე, თამარ ახვლედიანი, თამილა ცისკარიძე. მათ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და დამოკიდებულებები საკვლევ თემასთან დაკავშირებით, რაც შემდგომი კვლევის ეტაპების განხორციელებაში გამოვიყენე.

ფოკუს ჯგუფის შედეგები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფოკუს ჯგუფის განსახილველ თემას წარმოადგენდა მულტიმედია საშუალებების გამოყენება სოციო-კულტურული ტექსტების ეფექტიანი შესწავლისთვის. მასწავლებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაირკვა რომ:

1.სასწავლო მიმართულებში ,,კულტურათა დიალოგი'' მოცემული სოციოკულტუ-რული ტექსტების შესწავლის დროს ძირითადად იყენებენ სასკოლო სახელმძღვანელოს. ასევე მიმართავენ სხვადასხვა რესურსებს მათ შორისაა: თემასთან დაკავშირებული ფოტოები, რომლებიც გამოყენებულია თვალსაჩინოების პრინციპის გათვალისწინებით. ასევე იყენებენ აუდიო საშუალებას დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც ასევე სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილია.

2.მიმართულების ,,კულტურათა დიალოგი" სწავლებისას სირთულეების თვალსაზრისით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები და გამოვლინდა კონკრეტული ფაქტები.

თამარ ახვლედიანი: ,,სოციო კულტურული ტექსტების შესწავლისთვის მართლაც, არის განსხვავებული და ეფექტიანი სტრატეგიები მოსაფიქრებელი, რათა სხვა თვალით დავანახოთ მოსწავლეებს მათი არსი და მნიშვნელობა. პრობლემა იმაშია, რომ ზოგიერთი განსხვავებული კულტურული ღირებულების მიმართ, ისინი გამოხატევენ ირონიას და ესა თუ ის ფაქტი დაცინვის ობიექტი ხდება. ამ განწყობით კი ისინი ნამდვილად ვერ შეძლებენ განსხვავებული კულტურის მატარებელ ადამიანებთან ინტერაქციას''.

თეა ბრაგვაძე: ,,მოსწავლეებს უჭირთ განსხვავებული კულტურის საკუთარ კულტურასთან შედარება. ვფიქრობ, ეს მათი არასაკმარისი ინფორმირებულობისა და კულტურის არასრულფასოვანი აღქმადობის ბრალია. აუცილებელია, მათ დავანახოთ უცხოური კულტურის საკუთარ კულტურასთან კავშირი. ამასთან დაკავშირებით, მოსაფიქრებელია სტრატეგიები".

თამილა ცისკარიძე: ,,ჩემს მოსწავლეებს უჭირთ ინფორმაციის ხანგრძლივი დროით დამახსოვრება. ეს გამოიხატება მათ შემაჯამებელ ნამუშევრებში. შკითხვაზე პასუხს სცემენ ან არასრულად ან საერთოდ არ სცემენ პასუხს".

თამარ ცარციძე: ,,მეც მაქვს იგივე პრობლემები ჩემს მოსწავლეებთან და დასკვნის სახით ვიტყოდი, რომ იმ სტრატეგიების გამოყენებით, რასაც ახლა ვიყენებთ, არ ხდება მათი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარება. აუცილებლად უნდა მოვიძიოთ სხვა სტრატეგიები რაც უზრუნველჰყოფს ამ პრობლემების აღმოფხვრას".

3. შემდეგი კითხვა ეხებოდა, მულტიმედია საშუალებების გამოყენებას სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლისთვის. მათ ერთხმად განაცხადეს, რომ ისინი არ იყენებენ მულტიმედია საშუალებებს.

4. მულტიმედია საშუალებების გამოყენების დაბრკოლებად დასახელდა არასაკმარისი ტექნოლოგიური აღჭურვილობა. მართალია, სკოლას აქვს ინტერნეტ წვდომა და ტექნოლოგიური მოწყობილობაც გააჩნია, მაგრამ ხშირი გამოყენებისთვის არასაკმარისია, რადგან იქმნება არაკომფორტული და უხერხული სიტუაცია.

5. ჰიპოთეზას ,,მულტიმედია საშუალებები გააუმჯობესებს სოციო კულტურული ტექსტების შესწავლას'' ყველა დაეთანხმა და გამოხატეს ინტერესი მსგავსი სახის გაკვეთილების გაცნობისა.

2.მოსწავლეთა გამოკითხვა

რაოდენობრივი კვლევის სახე- მოსწავლეთა გამოკითხვა, დაიგეგმა თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე. მისი **მიზანი** იყო გაგვეგო მოსწავლეთა შეხედულებები და არსებული მდგომარეობა საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით. ანკეტირება შედგა, წინასწარ შედგენილი კითხვების გამოყენებით. იგი მოიცავდა 11 დახურულ კითხვას და შევსების ხანგრძლივობა შეადგენდა 15 წუთს.

მოსწავლეთა შერჩევისას გამოვიყენეთ **ალბათური შერჩევა** და გამოკითხვაში მონაწილეობდა 15 მოსწავლე. ისინი წარმოადგენდნენ საბაზო საფეხურის მე-9 კლასის მოსწავლეებს.

გთავაზობთ კითხვარის შედეგებს დიაგრამების სახით

დიაგრამა#1

1. სქესი:



დიაგრამა#2

2.ასაკი:



დიაგრამა#3

3.კლასი:



როგორც იცით,თქვენი სახელმძღვანელო შედგება თავებისაგან. თავები კი-ქვეთავებისგან. ერთ-ერთი ქვეთავი ეძღვნება სხვადასხვა ქვეყნის კულტურისა და ადამიანთა ყოფაცხოვრების ამსახველ ფაქტებს. ამ ფაქტებს გვაცნობს ამ ქვეთავში მოცემული ტექსტები. ისეთი შინაარსის შემცველ ტექსტებს,რომელშიც მოცემულია არამარტო ინფორმაციები ხელოვნების ნიმუშების, ლიტერატურის, არამედ ,ასევე ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებაა ასახული, სოციოკულტურული ტექსტები ეწოდება.

დიაგრამა#4

4. ინგლისური ენის გაკვეთილზე სწავლობთ სოციო-კულტურულ ტექსტებს უცხო ქვეყნების შესახებ?



დიაგრამა#5

5.რას გძენთ უცხო ქვეყნის კულტურის შესწავლა?



დიაგრამა#6

6.რა საშუალებებს იყენებს მასწავლებელი სოციო-კულტურული ტექსტების სწავლებისას?

(შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)



დიაგრამა#7

7. ჩამოთვლილ მულტიმედია საშუალებებიდან რომელს იცნობთ?

□ვიდეო ჩვენება.□ ინტერაქტიული ვიდეო. □ Prezi.com. □ Quizizz.co

□ სხვა.....



დიაგრამა#8

8.იყენებთ ვიდეო საშუალებას სასწავლო მიზნით?



დიაგრამა#9

9.საგაკვეთილო პროცესში იყენებთ ვიდეო ჩვენებას?



დიაგრამა#10

10.სოციო-კულტურული ტექსტების უკეთ შესწავლის მიზნით ვიდეო ჩვენება გამოგიყენებიათ სასწავლო პროცესში?



დიაგრამა#11

11.ვიდეო ჩვენება გააუმჯობესებს სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლას.



3.საგაკვეთილო პროცესში ჩარევა

საპილოტე კვლევის დასრულების და მისი შედეგების ანალიზის შემდეგ შევიმუშავეთ ამ პრობლემის გადაჭრის გზები ანუ **დავგეგმეთ გაკვეთილები** მულტიმედია საშუალებების გამოყენებით. გაკვეთილების დაგეგმვისას გავითვალისწინეთ **ეროვნული სასწავლო გეგმის** მოთხოვნები, მიზნები და შედეგები. ასევე განვსაზღვრეთ შესაბამისი **რესურსების** საჭიროება, გაკვეთილების ჩატარების **დრო,** დავგეგმეთ **ჩართული დაკვირვება** გაკვეთილებზე მიმდინარეობისას და შევიმუშავეთ **შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.**

საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **გაკვეთილის დაგეგმვას**. იგი ხელშემწყობი ფაქტორია გაკვეთილის მიზნობრივი და ორგანიზებული წარმართვისა. გაკვეთილების დაგეგმვისას ვხელმძღვანელობდით ჯიმ სკრივენერისა და ჯეინ შერმანის მეთოდური მითითებებით. ვითვალისწინებდით, როგორც თეორიულ ინფორმაციას, ასევე, პრაქტიკულ გამოცდილებას. ვინაიდან სასკოლო ძირითად რესურსს წარმოადგენს სახელმძღვანელო, გაკვეთილების გეგმა აიგო სწორედ მათზე დაყრდნობით. საგაკვეთილო თემები, საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, ეხებოდა სოციო-კულტურულ საკითხებს. გაკვეთილებზე ჩარევისას მოსწავლეები გაეცნენ და შეისწავლეს, როგორც მაღალი ასევე, ყოფითი კულტურის ელემენტები. მაღალი კულტურის ელემენტების შესწავლისას ისინი ეცნობოდნენ სხვადასხვა ძეგლების, ეროვნული პარკების, ქალაქების ღირსშესანიშნაობების შესახებ გარკვეულ ინფორმაციებს. ყოფითი კულტურის შესწავლისას კი მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაეცნოთ უცხოელი თანატოლებისა და ზოგადად, ადამიანების ყოფა- ცხოვრება, ტრადიციები და ჩვეულებები. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული იყო **ციფრული ტექნოლოგიიდან შემდეგი ინსტრუმენტები:**

1.ვიდეო, რომელსაც ვიყენებდი სახელმძღვანელოში მოცემული სოციო კულტურული ტექსტების ეფექტიანი გაგებისა და შესწავლის გასაადვილებლად. ვიდეოების ძირითად წყაროს წარმოადგენდა YouTube.

2.Interactive video-ინტერაქტიული ვიდეო, რომელსაც ვიყენებდი ვიდეოს მთავარი აზრისა და დეტალური ინფორმაციის გასაგებად, ასევე ცოდნის გასამყარებლად.

3.Quizizz.com-ვიყენებდით მათი ცოდნის შესამოწმებლად, როგორც საგაკვეთილო პროცესში ასევე საშინაო დავალებად.

4.Prezi.com-გამოვიყენეთ პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაციის დროს

ეროვნული სასწავლო გეგმა

გაკვეთილების დაგეგმვისას ვიხელმძღვანელეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც იგი უსახავს საბაზო საფეხურს. (უცხ.ს.III.21.მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების კულტურულ რეალიებს. უცხ.ს.III.მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას უცხოენოვანი კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების მიმართ.) ასევე გავითვალისწინეთ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შედგენილი სასკოლო გეგმა. (ქალაქ თბილისის # 147 საჯარო სკოლის სასკოლო გეგმა.2018-2019.) სასკოლო გეგმაში გათვალისწინებულია საჭიროებები, როგორც სასწავლო პროცესის ისე მოსწავლის.

რესურსების განსაზღვრას უდიდესი როლი ენიჭება საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვან განხორციელებაში. საკვლევი თემიდან გამომდინარე აუცილებელ სასწავლო რესურსს წარმოადგენდა ინტერნეტი, კომპიუტერი. ონლაინ რესურსებიდან გამოვიყენებდით Google, YouTube, ინტერაქტიული ვიდეო, Quizziz.com და Prezi.com. ასევე საჭირო რესურსებს წარმოადგენდა სასკოლო სახელმძღვანელო, დაფა, მარკერი, ფურცლები, კალამი.

განვსაზღვრეთ გაკვეთილების განხორციელების **დრო.** გაკვეთილების რაოდენობიდან (9 გაკვეთილი) გამომდინარე მათი ჩატარების დრო განისაზღვრა 2 თვით. გაკვეთილების ჩატარება დავიწყეთ 21.03.2019 და გაგრძელდა 16.05.2019-მდე. გაკვეთილების განხორციელების დღედ, გაკვეთილების განრიგისა და ცხრილის მიხედვით განისაზღვრა ხუთშაბათი.

(დანართი#1-3)

ჩართული დაკვირვება მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესის პარარელურად. დაკვირვება იყო გაუმჟღავნებელი, რათა თავიდან აგვეცილებინა მოსწავლეთა არაბუნებრივი ქცევა. დაკვირვების მიზანი იყო, გაკვეთილებზე გამოყენებული

მულტიმედია საშუალებების გავლენის განსაზღვრა, სასწავლო პროცესსა და მოსწავლეთა პროგრესზე, სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის თვალსაზრისით. ვაწარმოებდით დაკვირვების დღიურს, სადაც ვინიშნავდით მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ საკითხებს. დაკვირვების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეები დაინტერესდნენ მულტიმედია საშუალებების გამოყენებით. გაიზარდა მათი მოტივაცია, რამაც მათ სრულყოფილ ჩართულობას შეუწყო ხელი. საგაკვეთილო პროცესში სრულყოფილმა ჩართულობამ კი გაზარდა მათი ცოდნა. ასევე, შეიმჩნეოდა თუ როგორ უყალიბდებოდათ პოზიტიური დამოკიდებულება განსხვავებული კულტურული რეალიების მიმართ. ამრიგად, ჩართულმა გაუმჟღავნებელმა დაკვირვებამ ცხადყო მულტიმედია საშუალებების დადებითი გავლენა სასწავლო პროცესსა და მოსწავლეთა განვითარებაზე.

შედეგების შეფასების ინსტრუმენტებად გამოვიყენეთ: 1.შუალედური შემაჯამებელი ტესტი. 2. შესწავლილი თემების შემაჯამებელი პრეზენტაცია. 3. მოსწავლეთა გამოკითხვა კითხვარის მეშვეობით.

1.შუალედური შემაჯამებელი სამუშაოს აღწერა

საგაკვეთილო პროცესში ჩარევის მიმდინარეობისას, საჭირო იყო მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევათა შემოწმება. სწორედ, ამ **მიზნით** დაიგეგმა შუალედური შემაჯამებელი წერა. იგი იყო ტესტური სახის და შედგებოდა 5 საკითხისაგან. ვინაიდან, მათ მხოლოდ 4 საკითხი ჰქონდათ გავლილი შემაჯამებელ ტესტში კითხვები მხოლოდ ამ ოთხი საკითხიდან შედიოდა. (Kruger national park. Ayers rock, Crazy horse memorial.Traditions and Habits) **მიზანი**: ცოდნის შემოწმება და მულტიმედია საშუალების როლის განსაზღვრა. ტესტი მთლიანობაში 24 ქულით შემოიფარგლა. I და II შეკითხვა იყო არჩევით პასუხიანი. ხოლო III, IV და V კითხვები- ღია. ტესტის შედგენისას ვიხელმძღვანელეთ თომ ჰაჩინსონის რჩევებით ტესტის შდგენის პროცესში. მისი თქმით ტესტის შდგენის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ცოდნა და უნარები, ასევე ტესტი უნდა ზომავდეს იმას რისი შემოწმებაც უნდა მასწავლებელს. (T.Hutchinson.1987.) (დანართი # 4)

შემაჯამებელი სამუშაოს შედეგები

შემაჯამებელ წერაში მონაწილეობდა პროექტში მონაწილე 15 მოსწავლე. მათ ტესტურ წერას წარმატებით გაართვეს თავი, ზოგიერთ მათგანს ჰქონდა შეცდომები. შესაბამისად, მათ მიიღეს სხვადასხვა შემაჯამებელი ქულები. 8 მოსწავლემ მიიღო 24 ქულა, ხოლო 3-მა მოსწავლემ - 23, რაც მაღალი შეფასების 10-ის ტოლფასია. 1-მა მოსწავლემ მიიღო 22 ქულა, ხოლო 2-მა-21, რაც 9(მაღალი) ქულით განისაზღვრა.1-მა მოსწავლემ მიიღო 20 ქულა და იგი 8(საშუალოზე მაღალი) ქულის ტოლფასია. (დანართი # 5-შეფასების კრიტერიუმები)

პრეზენტაცია

პრეზენტაცია დაიგეგმა გაკვეთილების ჩატარების, შესწავლილი თემებისა და მოძიებული ინფორმაციის გათავისების შემდეგ. რესურსად გამოყენებულ იქნა მულტიმედია საშუალება Prezi. **პრეზენტაციის მიზანი** იყო ცოდნისა და ჩატარებული გაკვეთილების შედეგის გამოვლენა. პრეზენტაციის თარიღად დადგინდა 12.06.2018. საპრეზენტაციო თემებად გამოვიყენეთ საგაკვეთილო პრეცესებზე შესწავლილი საკითხები:

1. Habits and Traditions
2. All about English.
3. Special places.
4. Sydney.
5. Movie time.
6. Working life of teenagers in Great Britain.
7. A global culture.

ამ პროექტის ფარგლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, სხვა მთავარ საკითხებთან ერთად პარალელი გაევლოთ საკუთარი ქვეყნის კულტურასთან და მოეძიებინათ საგაკვეთილო პროცესში შესწავლილი უცხოური კულტურის მსგავსი სახის ინფორმაცია. ამ მიზნით მათ მოიპოვეს და შეისწავლეს, შემდეგ კი პრეზენტაციაზე გაიტანეს შემდეგი საკითხები:

1.საქართველოს ტრადიციები (თბილისობა, თუშეთობა, ბერიკაობა)

2.საქართველოს ეროვნული პარკები(ბორჯომ-ხარაგაული,არწივის ხეობა,მტირალას პარკი,ქართული მონუმენტი)

3.საქართველოში მოზარდი თაობის დასაქმების საკითხები და პრობლემები.

4.თეატრი და კინო ღია-ცის ქვეშ.

დამსწრე აუდიტორიას წარმოადგენდნენ: 1.ქეთევან ჭკუასელი-პროფესორი. 2. იზაბელა პეტრიაშვილი- ასოცირებული პროფესორი. 3. ინა ბარათაშვილი-განათლების მეცნიერებათა დოქტორი. 4. ირინა წიკლაური-147-ე საჯარო სკოლის დირექტორი-უფროსი მასწავლებელი. 5. მარინე წიკლაური-განათლების მეცნიერებათა დოქტორი. 6. ელენე ჯელაძე- წამყვანი მასწავლებელი.7. თამარ ცარციძე- ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი. 8.თამარ ახვლედიანი-ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი. მათ პრეზენტაციის ბოლოს გააკეთეს შეფასებები, მივიღეთ შენიშვნები, რომლებსაც გავითვალისწინებთ სწავლების მომდევნო წელს.

პრეზენტაციის შეფასება მოვახდინეთ პრეზენტაციის შეფასების რუბრიკით. (დანართი#6) რუბრიკის მიხედვით მოსწავლეებმა გამოავლინეს შემდეგი შედეგები: 1.მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პასუხობდა თემას და თხუთმეტივე მოსწავლემ დაიმსახურა უმაღლესი შეფასება. 2. აუდიტორიის ფლობა მოახერხა ათმა მოსწავლემ. ხუთი მოსწავლე არ იყენებდა პრეზენტაციისას საჭირო ჟესტიკულაციასა და ინტონაციას. 3.გამართული ენით ისაუბრა 11-მა მოსწავლემ, ხოლო 6 მოსწავლეს გაუჭირდა შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენება. 4. თხუთმეტივე მოსწავლეს ჰქონდა გამოყენებული ინფორმაციის მოსაპოვებლად განსხვავებული წყაროები. 5. 15-ვე მოსწავლემ მოახერხა შეედარებინა ერთმანეთისთვის უცხო ქვეყნის შესწავლილი და მათ მიერ მოპოვებული საქართველოს კულტურული მოვლენები და ფაქტები. 6.გამოიყენეს თვალსაჩინოება. 7. დაიცვეს დროის ლიმიტი.

მოსწავლეთა გამოკითხვა

საგაკვეთილო პროცესებისგან მიღებული შედეგების განსაზღვრის **მიზნით** ჩავატარეთ მოსწავლეთა გამოკითხვა. იგი ეხება გაკვეთილებზე ჩარევის პროცესს. კითხვარი შედგება ორი ეტაპისაგან. **I ეტაპი** მოცავს შეკითხვებს, რომელიც ეხებოდა საგაკვეთილო პროცესსა და გამოყენებულ მულტიმედია საშუალებებს. **მეორე ეტაპით** მოწმდება მათი ცოდნა. მოცემულია 9 შეკითხვა. კითხვები არის ღია ტიპის:

1.რომელი ტრადიცია და ჩვეულება გახსენდებათ ამ პროექტის ფარგლებში შესწავლილთაგან(უცხოური,ქართული)?

2.მოზარდი თაობის მუშაობასთან დაკავშირებით რა ინფორმაცია გახსენდებათ?(ქართული, უცხოური).

3.ინგლისური ენის საერთაშორისო ენად გადაქცევა რამ განაპირობა?(ისტორიული ფაქტებიდან დღევანდლამდე)

4. რომელ ეროვნულ პარკებს გაეცანით პროექტის ფარგლებში? (უცხოური, ქართული)

5. ბუნებრივად წარმოქმნილი რომელი ქმნილება გასხენდებათ?(უცხოური, ქართული)

6.დაუსრულებელი მონუმენტებიდან რომელი გახსენდებათ? (უცხოური, ქართული)

7. გლობალიზაციის გამომწვევი პირობებიდან რომელი დაგამახსოვრდათ?

8. აღწერეთ რას ნიშნავს Drive-in cinema.

9. ჩამოთვალეთ სიდნეის ღირსშესანიშნავი ადგილები რომელიც ტურისტმა არ უნდა გამოტოვოს.(გაიხსენეთ ვიდეოში ნანახი ინფორმაცია)

მოსწავლეთა გამოკითხვის **მიზანი** იყო, ერთის მხრივ, გაგვეგო მათი მოსაზრება და დამოკიდებულება ჩატარებული გაკვეთილების თაობაზე, მეორეს მხრივ შგვემოწმებინა გამოყენებული ხერხებით მიღებული მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

მოსწავლეთა გამოკითხვისას მიღებული შდეგები. პირველი ეტაპის შედეგებს გთავაზობთ დიაგრამების სახით:

დიაგრამა#12

1.სქესი: **მდედრობითი** **მამრობითი**



დიაგრამა#13

2.ასაკი: .....



დიაგრამა#14

3.კლასი: .....



დიაგრამა#15

- 4.ჩატარებულმა 9 გაკვეთილმა შეუწყო ხელი უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის უკეთ გაცნობასა და შესწავლას?



დიაგრამა#16

5.ვიდეო ჩვენებამ სოციო-კულტურული ტექსტების უკეთ გაგებასა და შესწავლას შეუწყო ხელი?



დიაგრამა#17

6.ინტერაქტიულმა ვიდეომ განამტკიცა თქვენი ცოდნა, რომელსაც იღებდით ვიდეო ჩვენებით?



დიაგრამა#18

7. Quizizz.com-ის გამოყენებამ რას შეუწყო ხელი ?



დიაგრამა#19

8.Prezi.com-ის გამოყენებამ რას შეუწყო ხელი?



დიაგრამა#20

9. როგორ ფიქრობთ, შესწავლილი სოციო-კულტურული ტექსტების საფუძველზე, გამოგიმუშავდათ სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი?



დიაგრამა#21

10. შესწავლილი სოციო-კულტურული ტექსტების საფუძველზე ჩამოგიყალიბდათ პოზიტიური დამოკიდებულება განსხვავებული კულტურის მიმართ?



დიაგრამა#22

11.გაქვთ სურვილი მომავალშიც მულტიმედია საშუალებების გამოყენებით ჩაგიტარდეთ გაკვეთილები?



დიაგრამა#23

12.პროექტის მიმდინარეობისას შემაჯამებლი წერისას გამოგადგათ ვიდეო ჩვენებიდან მიღებული ინფორმაცია?



დიაგრამა#24

13.პროექტის დასასრულს, ჩატარებული გაკვეთილების პრეზენტაციამ რა მოგცათ?



დიაგრამა#25

14.რა სირთულეები შეგხვდათ პროექტის განხორციელების ეტაპზე?



კითხვარის მეორე ეტაპის შედეგებს გთავაზობთ აღწერის სახით (იხ.შეფასების კრიტერიუმები. დანართი #7)

გამოკითხული 15 მოსწავლიდან, 9 მოსწავლემ ცხრა ცოდნის შესამოწმებელ შეკითხვას ამომწურავად გასცა პასუხი. მათ ახსოვდათ თითოეულ შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც უცხოური ასევე ქართული. შესაბამისად, დაიმსახურეს მაღალი შეფასება. 6 მოსწავლის პასუხი ნაწილობრივაა სრულყოფილი. მოსწავლეებს ახსოვთ ნასწავლი საკითხებიდან უმრავლესობა, თუმცა შეიმჩნევა რამდენიმე საკითხის არასრული ცოდნა. შეფასების კრიტერიუმში მოცემული შეფასება ,,საშუალო'' , ,,საშუალოზე დაბალი'' და ,,დაბალი" არ დაუმსახურებია არცერთ მოსწავლეს.

დასკვნები

წინამდებარე დასკვნები, ასახავს თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგების ანალიზის საბოლოო სახეს. როგორც ცნობილია, კვლევა ეხება მულტიმედია საშუალების გამოყენებას ინგლისური ენის გაკვეთილზე, სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის მიზნით. მოპოვებული მეორადი და პირველადი ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა, შემდეგი დასკვნების გაკეთება. ჩატარებული კვლევის დროს დაფიქსირდა ერთგვაროვანი შეხედულება საკვლევი თემის შესახებ და გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დასკვნების სახით შემოგთავაზებთ:

1.მიმართულების ,,კულტურათა დიალოგი" მიზნობრივი განვითარებისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნული მიმართულება არ ისწავლება მიზნობრივად, რის შედეგადაც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზანი ამ მიმართულებით არ არის მიღწეული. მიზანი კი, როგორც ცნობილია ითვალისწინებს, მოსწავლეთა ტოლერანტულ მოქალაქეებად აღზრდას, რომლებიც აღიარებენ და პატივს სცემენ კულტურულ მრავალფეროვნებას.

2.მულტიმედია საშუალებები არ გამოიყენება მიმართულების ,,კულტურათა დიალოგი" განსავითარებლად.

ფოკუს ჯგუფისა და მოსწავლეთა გამოკითხვით მივიღეთ ინფორმაცია, რომ მულტიმედია საშუალებას არათუ არ იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, არამედ ზოგიერთ ინსტრუმენტს, როგორიცაა ინტერაქტიული ვიდეო, Quiz და Prezi არც კი იცნობენ. მეორე მიზეზად, თუ რატომ არ იყენებენ მულტიმედია საშუალებას მათ დაასახელეს სკოლის არასაკმარისი აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიით.

3.მულტიმედია საშუალებების გამოყენებით, მოხდა მოსწავლეთა დაინტერესება, საგაკვეთილო პროცესში სრულყოფილი ჩართულობა, სოციო-კულტურული ტექსტების უკეთ შესწავლა, რამაც ხელი შეუწყო მათი ცოდნის ამაღლებას და პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას განსხვავებული კულტურული რეალიების მიმართ.

ჩატარებული გაკვეთილების, დაკვირვების, შემაჯამებელი სამუშაოს, პრეზენტაციისა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ მულტიმედია საშუალებების გამოყენებამ დაადასტურა ჰიპოთეზა ,,მულტიმედია საშუალებები გააუმჯობესებს სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლის დონეს''.

მულტიმედია ჩართულობით საგაკვეთილო პროცესის წარმართვამ, გაახალისა და გაამრავალფეროვნა გაკვეთილები. ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე მე-9 კლასის მოსწავლეები იმყოფებიან ძალიან რთულ და საფრთხილო ასაკში. ასაკში, როცა იცვლება მათი ღირებულებები, დამოკიდებულებები, აშკარად შეიმჩნევა სასწავლო პროცესისადმი ინტერესის არ ქონა და კარგავენ სწავლის მოტივაციას. მულტიმედია საშუალებები გახლდათ მათთვის ახალი სტრატეგია, რომელსაც ისინი ადრე არ იყენებდნენ. მოსწავლეები დაინტერესდნენ ახალი ინსტრუმენტების გამოყენებით. შესაბამისად, ჩვენი მიზანი, მულტიმედია საშუალებების ჩართულობით მოგვეხდინა მათ მიერ სოციო-კულტურული ტექსტების ეფექტიანი შესწავლა, გამართლდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწავლების პროცესში ერთნაირად იყვნენ ჩართული, როგორც მაღალი, ასევე დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები. ამრიგად, ახალი ინსტრუმენტები მოსწავლეებს დაეხმარა მოტივაციის ამაღლებაში, ცოდნის შეძენასა და ჯანსაღი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები მასწავლებელთათვის

სოციო-კულტურული ტექსტების შესწავლა ხელს უწყობს სხვა ქვეყნების კულტურის გაცნობას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მხოლოდ გაცნობა და ცოდნა მთავარ მიზანთან ვერ მიიყვანს მოსწავლეებს. საჭიროა სხვა ქვეყნების კულტურათა გათავისება, აღიარება და პატივისცემა. ამ უნარების განვითარება კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტელერანტულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. მასწავლებლებს ვუწევთ რეკომენდაციას ჩართონ სწავლებაში მულტიმედია საშუალებები და გახადონ მოსწავლეთა სასწავლო გარემო საინტერესო, სასარგებლო და შემეცნებითი. ამასთანავე, ვთავაზობთ მათ მზა გაკვეთილის გეგმებს ყველა საჭირო რესურსით.

რეკომენდაცია სკოლის ადმინისტრაციას

მასწავლებლების ხელშეწყობა სასწავლო პროცესის უკეთ წარსამართავად ადმინისტრაციის უპირველესი მოვალეობაა. მულტიმედია საშუალებების გამოყენებით გაკვეთილების ჩატარება, მოითხოვს საკლასო ოთახების ან ერთი ინგლისური ენის კაბინეტის თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვას. ადმინისტრაციას ვაძლევთ როკომენდაციას იზრუნოს ოთახის/ოთახების თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვის თაობაზე, სადაც მასწავლებელს მიეცემა შესაძლებლობა კომფორტულ გარემოში განახორციელოს საგაკვეთილო პროცესები მულტიმედია საშუალებების გამოყენებით.

ლიტერატურა

1. გეგეჭკორი ლ. ენების ინტენსიური სწავლების თანამედროვე მეთოდები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.1981;
2. ლორთქიფანიძე დ. დიდაქტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.1983. 295;
3. შვერდაშვილი ე. უცხოური ენების სწავლების საფუძვლები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2014;
4. ჭკუასელი ქ. ჭკუასელი. ი პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები.თბილისი. გამომცემლობა ინტელექტი. 2012;
5. Graves K. Designing Language Courses. A guide for teachers.Heinle and Heinle Tomson Learning publishing, 2000, 308;
6. Harmer J. The Practice of English Language Teaching, fourth edition, Pearson Longman publishing, 2007;
7. Harmer J.How to teach English, seventh edition, Pearson Longman publishing, 2001, 190;
8. Harding. K. English for Specific Purposes. Oxford unuversity press, 2007;
9. Hutchinson T. English for Specific Purposes.Alan Waters. Cambridge University Press 1987;
10. Scrivener J. Learning teaching. Macmillan Books for teachers. MACMILLAN publishing; 2005
11. Sherman J. Using authentic video in the language classroom. Cambridge university press. 2003;
12. სსიპ ქალაქ თბილისის # 147 საჯარო სკოლის სასკოლო გეგმა. 2018-2019;
13. https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. განკარგულება# 84,2004, 14.10;
14. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ბრძანება1330 # 08.04.2005;

15. http://ncp.ge/ საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა.ინგლისური ენის საბაზო საფეხურის სტანდარტი. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი. 2018-2024;
16. http://ebiblioteka.sjuni.edu.ge/images/books/eleqtronuli%20swavelbis%20danergva.pdf ელექტრონული სწავლების დანერგვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.2017;
17. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.32&d=HASH49a0f653ff6da507e41980.7 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ინტერკულტურული განათლება საქართველოში.შალვა ტაბატაძე.
18. (http://elearning.tsu.ge/course/view.php?id=181
ელექტრონული სწავლების პორტალი
19.https://www.pearson.com/english/catalogue/general-english/speakout/second-edition.html. Real English in your classroom;
20.http://www.onestopenglish.com/methodology/teaching-tips/ask-the-experts/methodology-questions/methodology-using-video-in-english-teaching/146399.article. Methodology: using video in English teaching. Scott Thornbury.
21.https://www.wyzowl.com/what-is-interactive-video/
What is interactive video;
22. https://trainingindustry.com/magazine/july-aug-2017/four-benefits-of-interactive-video-for-learning/
Four Benefits of Interactive Video for Learning. Matthew Murray;
23. https://h5p.org/tutorial-interactive-video
Interactive Video Tutorial;
24. (https://quizizz.zendesk.com/hc/en-us/articles/203610052-What-is-Quizizz
What is Quizizz.
25. https://www.nactateachers.org/images/Dec11_2_Using_Prezi_in_the_Classroom.pdf)
Using Prezi in the Classroom. Quisto Settle University of Florida Gainesville, FL 32611 Katie M. Abrams University of Illinois Urbana, IL 61801 Lauri M. Baker Kansas State University Manhattan, KS 66506.

26.https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/425601/_national_curriculum.pdf).

27. http://www.oecd.org/education/ceri/GEIS2016-Background-document.pdf

Innovating aducation and aducating for inavation.The power of digital technology and skills.OECD.2016

28. (http://elearning.tsu.ge/course/view.php?id=181).

დანართი # 1

გაკვეთილის მოდელი #1

სწავლების საფეხური:საბაზო.**გაკვეთილის თემა:** Sydney-ის ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობა. **გაკვეთილის ტიპი:** გამჭოლი კომპეტენცია: ,,კულტურათა დიალოგი". **გაკვეთილის მიზანი:** 1. ავსტრალიის ქალაქ სიდნეის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობების გაგება.2. ვიდეო ჩვენებიდან სპეციფიური ინფორმაციის გაგება.4. დაამყარონ კავშირი საკუთარ ქვეყანასთან. **გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები** *: 1.(უცხ.ს.III.21.მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების კულტურულ რეალიებს).*

2.(უცხ.ს.III.მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას უცხოენოვანი კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების მიმართ.)

რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერი, სახელმძღვანელო, კალამი, ფურცლები, დაფა, მარკერი.

აქტივობა 1

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის გეგმებსა და მიზნებს. იგი იყენებს ვერბალურ მეთოდს. კლასის ორგანიზების ფორმა გახლავთ საერთო საკლასო. ამ აქტივობის მიზანია მოსწავლეების მობილიზება და ყურადღების კონცენტრირება.

Lesson Plan

Answer the questions
Read the text
Answer the questions
Watch the video
Watch the interactive video
Producing the language

აქტივობა 2

Pre-teaching.Lead-in activity.მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.What do you know about Sydney? მიზანი: მოსწავლეთა გააქტიურება და წინარე ცოდნის გამოყენება.წინარე ცოდნა მოიცავს საჭორო გრამატიკული ელემენტების ცოდნასა და ლექსიკური მარაგის ქონას.

აქტივობა 3

While teaching.მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. მიზანი- სიდნეის შესახებ ინფორმაციის გაგება

paragraphs 1–5. There is one heading that you do not need.

a An unusual tour
b A musical trip
c An energetic city
d City of culture
e A spectacular flight
f Getting around

Sydney

1 ...
Sydney, on the south-east coast of Australia, is a vibrant, outdoor city in which everybody is on the move. This makes it one of the most exciting cities in the world to visit.

2 ...
The cheapest way to see Sydney is on foot. Staff at the Tourist Information Centre said that there were walking tours in the city. However, tourists we spoke to said you would also need to use public transport, especially on summer days when it's too hot to walk very far.

Sydney's public transport system is convenient, reliable and good value. You can choose from buses, trains, ferries, a light rail system and a city monorail. If you're using public transport, it's worth buying the SydneyPass. This gives you unlimited journeys on bus, rail or ferry transport over a period of three, five or seven days.

3 ...
However, if you want something more exciting than public transport, Sydney has plenty to offer. You can take a helicopter ride and experience one of the world's most beautiful harbours from 4,000 metres! One passenger told us the twenty-minute flight gave you unforgettable views of the city skyline, the Harbour Bridge and the Opera House.

4 ...
A cheaper way to enjoy Sydney is to go on a night-time rollerblading tour. Our guide said that all you needed was a group of six and lots of energy! Your skates and helmets are provided. The two-hour guided tour will take you around the harbour, across the famous Harbour Bridge and through the city. It's cooler at night and the sparkling reflection of the lights on the water is beautiful.

5 ...
Another way to see Sydney Harbour is on a jet boat. This isn't your usual boat trip, though. It's a thrilling ride at high speed. There's a commentary from a tour guide plus the sounds of the latest pop music. A group of young travellers told us it was the most exciting thing they had done on their trip!

აქტივობა 4

მოსწავლლები პასუხობენ სახელმძღვანელოში მოცემულ შეკითხვებს ტექსტის შესახებ. მიზანი გაგებული ინფორმაციის განმტკიცება შევსება.



Read the text again and answer the questions.

1 Why do you need to use public transport in summer?
2 Can you have a SydneyPass for more than a week?
3 How long does the helicopter flight take?
4 Do you have to use your own skates on the rollerblading tour?
5 What are two good reasons for skating at night?
6 Which two things can you listen to on the jet boat?

აქტივობა 5

While teaching. მოსწავლეები უყურებენ ვიდეოს სიდნეის 10 მნიშვნელოვანი ადგილების შესახებ.მიზანი-წაკითხული ტექსტის განმტკიცება და დამატებითი ინფორმაციის გაგება.

მასწავლებელი იყენებს ელექტრონული სწავლების მეთოდს.

https://www.youtube.com/watch?v=k03T3qdylM

აქტივობა 6

Post-teaching-მოსწავლეები უყურებენ **ინტერაქტიულ ვიდეოს** და პასუხობენ მოცემულ შეკითხვებს. https://h5p.org/node/491531 მიზანი: ვიდეოს ყურებიდან მიღებული ინფორმაციის განმტკიცება. მეთოდი-ელექტრონული სწავლება.

აქტივობა 7

Post-teaching.მოსწავლეები საუბრობენ საკუთარი ქვეყნის მსგავს ქალაქზე და ეძებენ მსგავსებას.იმართება დისკუსია. მასწავლებელი იყენებს დისკუსიის მეთოდს.



აქტივობა 8

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების კითხვარს. კითხვარი ამოწმებს მოსწავლეთა უნარს განსაზღვრონ რა იცოდნენ, რა გაიგეს და რისი გაგება სურთ.

What I knew.....What I know.....What I want to know.....

საშინაო დავალება

საშინაო დავალება განამტკიცებს და სისტემაში მოიყვანს მოსწავლეთა ცოდნას.ამასთანავე ისინი გამოიყენებენ ახალ ხერხს, რომლსაც მასწავლებელი მიაწვდის ელექტრონული ხერხით.

Quiz-ohttps://quizizz.com/admin/quiz/5d1a470f043125001aaa2421/sydney

დანართი# 2

გაკვეთილის გეგმა #2

სწავლების საფეხური: საბაზო

გაკვეთილის თემა: Drive-in cinemas

გაკვეთილის ტიპი: გამჭოლი კომპეტენცია: კულტურათა დიალოგი

გაკვეთილის მიზანი: 1.მოსწავლეებმა გაიგონ ინფორმაცია კინო ჩვენების ერთ -ერთი სახეობის Drive –in - ის შესახებ. 2. ვიდეო ჩვენების მთავარი აზრის დადგენა. 3.ვიდეო ჩვენებიდან სპეციფიური ინფორმაციის გაგება. 4. დაამყარონ კავშირი საკუთარ ქვეყანის მსგავს კულტურულ რეალიებთან.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები : 1.(უცხ.ს.III.21.მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების კულტურულ რეალიებს).
2.(უცხ.ს.III.მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას უცხოენოვანი კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების მიმართ.)

რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერი, სახელმძღვანელო, კალამი, ფურცლები, დაფა.

აქტივობა 1

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის გეგმებსა და მიზნებს. იგი იყენებს ვერბალურ მეთოდს. კლასის ორგანიზების ფორმა გახლავთ საერთო საკლასო. ამ აქტივობის მიზანია მოსწავლეების მობილიზება და ყურადღების კონცენტრირება.

აქტივობა 2. Pre-teaching

Lead-in activity. მოსწავლეები ადგენენ სიას კინოჩვენების სახეობებისა და უზიარებენ ერთმანეთს. აქტივობის მიზანია მოსწავლეთა წინარეცოდნის გააქტიურება ლექსიკისა და კინოჩვენების სახეობების ცოდნის თვალსაზრისით.

აქტივობა 3. While teaching activity-მოსწავლეები სხდებიან მეწყვილეებთან. მასწავლებელი მათ უნაწილებს წასაკითხ ტექსტს.(1,2პარაგრაფს კითხულობს ერთი მოსწავლე ხოლო მე-3 და მე-4 პარაგრაფს მისი მეწყვილე). მიზანი ინფორმაციის გაგება.



MOVIE TIM

1 Drive-in cinemas have existed for years. A resourceful American first came up with the idea in the 1930s and, during the 1950s, around 400 new drive-ins were built in the USA every year. For a small price, a car full of people could enjoy an evening outdoors, watching the latest movie. It was an experience that meant more than just going to the cinema: it was a social event.

2 However, the enthusiasm for drive-ins slowly started to decline and, when videos and DVDs were introduced in the 1980s and 1990s, many of the drive-ins closed. In fact, over the last two years, cinema-going in general in the USA has decreased quite a lot. According to a recent survey, most Americans prefer to watch videos, DVDs or pay-per-view films in the comfort of their own homes, rather than go out to the cinema.

3 In the UK, however, cinema-going remains one of the most popular forms of entertainment. People are determined to see the latest films at the cinema. There are also hundreds of mobile cinemas. This means that people who live miles away from a cinema can have a real 'film-going experience'.

4 Drive-in cinemas have never been successful in the UK (it might have something to do with the unpredictable climate!). However, over the last couple of years, they have experienced a huge boom in the big cities in China like Beijing and Shanghai. This is because of the growing number of Chinese who own private cars. One such person is Wang Li, whose tiny green car is seen at least once a month at his lo drive-in. For him, drive-in cinemas provide a more comfortable environment than the conventiona cinemas. 'Your car is a place where you can do whatever you like. You can chat, eat or make phone calls without disturbing other people. Perhaps it is not surprising that, a record number of cars, 400 in total, queued up at Wang Li's local drive-i on a single night in February.

აქტივობა 4

მას შემდეგ რაც მოსწავლეები ჩაინიშნავენ ან დაიმახსოვრებენ ინფორმაციებს. ისინი მეწყვილეებს უამბობენ მიღებულ ინფორმაციას. მიზანი-თანამშრომლობითი და ინფორმაციის გაცვლის უნარის განვითარება.



აქტივობა 5

ამ გაკვეთილზე ვიდეო ჩვენება გამოყენებულია, როგორც Post teaching აქტივობა. ტექსტში მოცემულია Drive in cinema-ს განვითარებისა და სხვადასხვა ქვეყნებში მისი არსებობის ფაქტები. ხოლო ვიდეოში აღწერილია ერთი კონკრეტული ფაქტი და იძლევა ტექსტის გაგრძელებისა და დასრულებულ ვარიანტს. მიზანი ბრიტანეთში არსებული კინო ჩვენების ამ სახით არსებობის კულტურის გაცნობა. მასწავლებელი იყენებს ელექტრონული სწავლების მეთოდს.

https://www.youtube.com/watch?v=B5lhzMa8ctc

აქტივობა 6

აქტივობა მეექვსე არის მეხუთე აქტივობის შინაარსობრივი გაგრძელება. ინტერაქტიული ვიდეოს ყურებითა და იქ მოცემული სავარჯიშოების შესრულებით ისინი ინმტკიცებენ ცოდნას და არიან მაქსიმალურად და აქტიურად ჩართულები.https://h5p.org/node/480059

აქტივობა 7

Post-teaching. მოსწავლეები საუბრობენ Drive in ის მეთოდის გამოყენებაზე და მის ეფექტურობაზე საქართველოში და შედარებას აკეთებენ უცხო ქვეყანასთან.



აქტივობა 8

შეფასება.კითხვარი:What I knew.What I know.What I want to know. შეფასების მიზანია განსაზღვრონ რა იცოდნენ, რა გაიგეს და რისი გაგება სურთ.

What I knew.....

What I know.....

What I want to know.....

აქტივობა 9

საშინაო დავალება

საშინაო დავალება განამტკიცებს და სისტემაში მოიყვანს მოსწავლეთა ცოდნას.ამასთანავე ისინი გამოიყენებენ ახალ ხერხს, რომლსაც მასწავლებელი მიაწვდის ელექტრონული ხერხით.https://quizizz.com/admin/quiz/5d1caff69ffbd8001b28a48e/when-did-the-americans-come-up-with-the-idea-to-build-the-drive-ins

დანართი # 3

გაკვეთილის მოდელი #3

სწავლების საფეხური:საბაზო

გაკვეთილის თემა: The Kruger national park

გაკვეთილის ტიპი: გამჭოლი კომპეტენცია: კულტურათა დიალოგი

გაკვეთილის მიზანი: 1.მოსწავლეებმა გაიგონ ინფორმაცია აფრიკის ეროვნული პარკის შესახებ. 2.ვიდეო ჩვენების მთავარი აზრის დადგენა. 3.ვიდეო ჩვენებიდან სპეციფიური ინფორმაციის გაგება. 4.დაამყარონ კავშირი საკუთარ ქვეყანასთან.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები : 1.(უცხ.ს.III.21.მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების კულტურულ რეალიებს).
2.(უცხ.ს.III.მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას უცხოენოვანი კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების მიმართ.)

რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერი, სახელმძღვანელო, კალამი, ფურცლები, დაფა, მარკერი.

აქტივობა 1

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის გეგმებსა და მიზნებს. იგი იყენებს ვერბალურ მეთოდს. კლასის ორგანიზების ფორმა გახლავთ საერთო საკლასო. ამ აქტივობის მიზანია მოსწავლეების მობილიზება და ყურადღების კონცენტრირება.



აქტივობა 2

ამ ეტაპზე ვიდეო გამოყენებულია როგორც Pre –teaching აქტივობა. იგი არის უხმო და მოსწავლეებს უწევთ მიხვდნენ თუ რომელ კულტურულ ადგილს გვთავაზობს ვოდეო.(Predict)https://www.youtube.com/watch?v=KBXAySU58JE

აქტივობა 3

მას შემდეგ რაც მოსწავლეები დაასრულებენ ვიდეოს ყურებას გაიმართება დისკუსია.ისინი იმსჯელებენ თუ რა ადგილი იყო ნაჩვენები ვიდეოს მეშვეობით.მიზანი მათი გააქტიურება და წინარე ცოდნის გამოყენება.

აქტივობა4 While teaching activity.

მოსწავლეები უყერებენ ვიდეოს სრული სახით. მიზანი: სრული ინფორმაციის მიღება.

https://www.youtube.com/watch?v=mYc36RX-jZc

აქტივობა 5

მოსწავლეები უყურებენ ინტერაქტიურლ ვიდეოს და პასუხობენ მოცემულ შეკითხვებს.

https://h5p.org/node/546348

აქტივობა 6

Pre teaching activity. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს წასაკითხ ტექსტში მოსალოდნელ ლექსუკურ მარაგსა და რამდენიმე უცნობი ცნების განმარტებას თვალსაჩინოების სახით. მიზანი ტექსტის გაგების გაადვილება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

The Kruger national park

LIvIngstone Makuleke



Words

- Tribe-A social division in a traditional society consisting of families or communities linked by social, economic, religious, or blood ties, with a common culture and dialect, typically having a recognized leader.
- Antelopes- ანტილოპები

- Concern -anxiety; worry.
- such unsatisfactory work gives cause for concern
- Rhinoceroses

- Endanger-seriously at risk of extinction.
- Extinct-having no living members.

Game reserve

a large area of land set aside as a protected area for wild animals.
'Kruger National Park is one of the largest game reserves in the world'

აქტივობა 7. მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს. მიზანი დამატებითი ინფორმაციის მიღება.



Livingstone Makuleke stands in the shade of a huge baobab tree and talks about the old days. 'The chief used to sit there,' he explains sadly, 'and the village headmen sat in a circle here. This tree,' he says, 'was the centre of the Makuleke people and our way of life.'

That way of life ended in 1969, when the South African government moved the Makuleke tribe's ten villages. The government gave the Makuleke's land to the Kruger National Park. The park had opened in 1898 and was Africa's first game reserve. Back then, Dutch farmers and British hunters were killing thousands of animals. There were real concerns about the future of the great African mammals.

The Kruger National Park is now one of the world's largest conservation areas. The park is bigger than many countries and the animals in the park make it unique. A huge number of species, from antelopes and cheetahs to rhinoceroses and zebras, are all part of its incredible ecosystem. Many large mammals in the park are either endangered or extinct in other parts of Africa. The park is also South Africa's top tourist destination: more than one million people will visit it this year.

Recently, the government has signed an agreement with the Makuleke people. The Makuleke will have control of their lands again, but they are not going to live there. Instead, they are going to develop the tourist potential in the area. They are going to build two hotels and a cultural museum under the baobab tree. The tribe will benefit from new jobs, education and training. They will also be able to visit their ancestors' graves, which is a very important part of their culture.

The animals will remain safe in the park and the tribe will benefit, too. The future of the park and the Makuleke tribe will once again go hand in hand.

აქტივობა 8

მოსწავლეები პასუხობენ სახელმძღვანელოში მოცემულ შეკითხვებს.მიზანი- ტექსტში წაკითხული ინფორმაციის განმტკიცება.



Read the text again and answer the questions. Use your own words as much as possible.

1 Why does Livingstone feel sad under the tree?
2 Why were animals in South Africa in danger at the end of the 19th century?
3 In what ways has the park been successful?
4 Why is the park important for South Africa?
5 How will the park improve the lives of the Makuleke people?

აქტივობა 9

Post teaching. მოსწავლეები [illegible]ობენ საქართველოში არსებული ეროვნული პარკების შესახებ შესწავლილი ლექსიკის გამოყენებით. ხდება ნასწავლი მასალის პროდუცირება.



TALK ABOUT IT

1 What national parks do you have in your country?
2 Are you going to visit any of them? When?
3 Are national parks important? Why?

აქტივობა 10

თვითშფასება. მოსწავლეები ავსებენ შემდეგ კითხვარს. მიზანი მიღებული ცოდნის სისტემაში მოყვანა.

What I knew.....

What I know.....

What I want to know.....

აქტივობა 11

საშინაო დავალება. მოსწავლეებს ევალებათ მოიძიონ საქართველოში არსებული ეროვნული პარკების შესახებ ინფორმაცია. ასევე მოსწავლლებს ეგზავნება კითხვარი ელექტრონული გზით.

https://quizizz.com/admin/quiz/5d1cd49c3c1a8a001a6356e4/kruger

დანართი #4

Test # 1 **Score--24**

Name:

Class:

1.Answer the questions:

1.Where is the Kruger national park?

2.What does the Big Five mean?

3.What is the most mysterious thing about the Ayers Rock?

4.Where can you see the Crazy Horse Memorial? **score-4**

2.Choose the correct answer.

1.The membars of Big five are:

a.lion,tiger,monkey,pig,elephant.

b.lion,tiger,leopard,zebra, rhino,

c.lion,elephant,buffalo,leopard,rhino.

2.The government has signed an agreement with the Makuleke people.

1.The Makuleke will have control of their lands again.

2.The Makuleke will live in another place. 3.The Makuleke people will plant the baobab tree.

3.Uluru is an important place for Aboriginals because:

1....under the rock there is a source of energy.

2....under the rock there are graves of their ancestors.

3....they live under the rock.

4.Craze Horse Memorial represents:

1.a foreigner hero Spenish man.

2.native American hero- the Sioux chief.

3.a man who discovered America.

score-4

3.Give an explanation of the words:

Habit-

Tradition-

score-4

4.**Write at least 7 habits which help people to achieve a success.**

score-7

5.Do you know any national park or special places in Georgia?Name it(them).Write at least 3-5 sentences about it(them).

score5

დანართი # 5

შუალედური შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები

შეფასება	როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას.
მაღალი(10-9 ქულა)	პასუხები სრულყოფილია. 5 შეკითხვიდან ყველა შეკითხვას პასუხობს ამომწურავად.პასუხებიდან გამომდინარე მოსწავლეს ახსოვს ნასწავლი საკითხები.
საშუალოზე მაღალი(8-7 ქულა)	პასუხები ნაწილობრივაა სრულყოფილი.მოსწავლეს ახსოვს ნასწავლი მა საკითხებიდან უმრავლესობა,თუმცა შეიმჩნევა რამდენიმე საკითხის არასრული ცოდნა
საშუალო(6-5ქულა)	მოსწავლე ნასწავლი საკითხებიდან მხოლოდ ნახევარს პასუხობს. პასუხები არ არის სრულყოფილი.
საშუალოზე დაბალი(4-3)	მოსწავლეს გაუჭირდა პასუხების გაცემა. პასუხი გასცა კითხვათა უმცირესობას.პასუხები არადამაკმაყოფილებელია.
დაბალი(2-1)	მოსწავლე არ პასუხობს არცერთ შეკითხვას

დანართი #6

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

პასუხობს თემას	1
ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას)	2
საუბრობს გამართულაი ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას	2
იყენებს განსხვავებულ წყაროებს	2
ადარებს მოვლენებს, ფაქტებს, საგნებს	1
იყენებს თვალსაჩინოებას	1
იცავს დროის ლიმიტს	1

დანართი # 7

გამოკითხვის მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმები.

შეფასება	როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას.
მაღალი	პასუხები სრულყოფილია.(9 შეკითხვიდან ყველა შეკითხვას პასუხობს ამომწურავად).პასუხებიდან გამომდინარე მოსწავლეს ახსოვს ნასწავლი საკითხები.
საშუალოზე მაღალი	პასუხები ნაწილობრივაა სრულყოფილი.მოსწავლეს ახსოვს ნასწავლი საკითხებიდან უმრავლესობა,თუმცა შეიმჩნევა რამდენიმე საკითხის არასრული ცოდნა
საშუალო	მოსწავლე ნასწავლი საკითხებიდან მხოლოდ ნახევარს პასუხობს. პასუხები არ არის სრულყოფილი.
საშუალოზე დაბალი	მოსწავლეს გაუჭირდა პასუხების გაცემა. პასუხი გასცა კითხვათა უმცირესობას.პასუხები არადამაკმაყოფილებელია.
დაბალი	მოსწავლე არ პასუხობს არცერთ შეკითხვას

დანართი #8

Tbilisi Ivane Javakhihvi State University
Faculty of Psychilogy and Aducational Science
Teacher education-Methodology of English Language

Ana Kakulia

The efficiency of applying Multimedia Tools while teaching Socio-Cultural texs at the English lesson

(At basic school)
(9-grade)

A Thesis submitted to get the academic degree of Master of Teacher Education

Supervisor: Ina Baratashvili, Doctor of Education Sciences

Tbilisi

2019